პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНКСОЙ ССР

ოთხშაბათი, 27 მარტი, 1946 წ. № 63 (7536). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში:

მეტი ყურადღება პარტიის რიგების ზრდას. მოწინავე (1-ლი გვერდი).

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის პასუხი იუნაიტედ პრესის სააგენტოს პრეზიდენტ ბ-ნ ჰიუ ბეილის დეპეშაზე (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები: კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ (მე-2, მე-3 და მე-4 გვერდი).

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისიის პრეს-კომუნიკე № 1 (1-ლი გვერდი).

მოსკოვს ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაცია (1-ლი გვერდი).

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით (1-ლი გვერდი).

ალბანეთის მთავრობის დეკლარაცია (1-ლი გვერდი).

„ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" კორესპონდენტი საბერძნეთში არსებული მდგომარეობის შესახებ (1-ლი გვერდი).

## მეტი ყურადღება პარტიის რიგების ზრდას

უდიდესი მნიშვნელობის მსოფლიო-ისტორიული მოვლენებით არის აღსავსე ჩვენი ეპოქა. თავისი მასშტაბით ისტორიაში უმაგალითო ომში ჩვენმა ქვეყანამ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. მან გაანადგურა გერმანელი აგრესორები და იაპონელი იმპერიალისტები და ომიდან კიდევ უფრო მძლავრი გამოვიდა.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა, რომლებიც ახლა მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევიან, კარგად იციან, რომ ეს გამარჯვება მოპოვებულია ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული პოლიტიკის მეოხებით, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გენიალური წინამძღოლობით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა ერთხელ კიდევ ცხადჰყო, თუ რაოდენ ძლიერია სოციალისტური სამშობლო, მშრომელთა ფართო მასების რა უდიდესი ნდობითა და მხარდაჭერით სარგებლობს ლენინ-სტალინის პარტია, რა უსაზღვრო სიყვარულითა და პატივისცემით არის გამსჭვალული მთელი ხალხი თავისი ბელადის და მასწავლებლის, ყველა ჩვენი გამარჯვების შემოქმედისა და სულისჩამდგმელის ამხანაგ სტალინისადმი. არჩევნებში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინურმა ბლოკმა.

ამ დღეებში მთელი ჩვენი ხალხის ყურადღება მიპყრობილი იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიისადმი, რომელმაც გადასწყვიტა უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანები, განიხილა და დაამტკიცა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა იციან, რომ იმ გრანდიოზულ ამოცანათა წარმატებით გადაჭრა, რომლებიც მეოთხე ხუთწლედშია გათვალისწინებული, შესაძლებელია მხოლოდ ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით. მშრომელები მასში ნამდვილ ბელადსა და წინამძღოლს ხედავენ. ამიტომ სარგებლობს ბოლშევიკების პარტია მასების მხურვალე მხარდაჭერითა და ნდობით. ამიტომ არის, რომ მშრომელთა საუკეთესო ნაწილი, ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანები ისწრაფვიან გახდნენ ლენინ-სტალინის დიადი პარტიის წევრები, ორგანიზაციულად დაუკავშირდნენ მას და პარტიის რიგებში იბრძოლონ სოციალისტური სამშობლოს შემდგომი გაძლიერებისა და აყვავებისათვის.

განუწყვეტლივ იზრდება ბოლშევიკების პარტიის რიგები სამშობლოს, ლენინ-სტალინის საქმის ერთგული ადამიანებით. პარტიის რიგების ზრდა განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო დიდი სამამულო ომის დღეებში, ჩვენი სამშობლოსათვის ყველაზე მძიმე განსაცდელის ჟამს. ეს არის ბრწყინვალე დადასტურება იმ განუყრელი, სისხლხორცეული ერთიანობისა და კავშირისა, რაც ჩვენში პარტიასა და ხალხს შორის არსებობს, ეს არის მასების პოლიტიკური შეგნების ზრდის, მათი იდეურად გამოწრთობის უტყუარი საბუთი.

პარტია თავისი წევრებისაგან მოითხოვს აქტიურ და თავდადებულ ბრძოლას ლენინ-სტალინის საქმისათვის, პარტიის პროგრამისა და წესდების განუხრელ დაცვას. პარტიის რიგების ზრდამ გვიჩვენა, რომ ათასობით ადამიანი ამაღლდა ავანგარდის დონემდე და შეუძლია შეასრულოს ის დიდი მოვალეობა, რასაც მას პარტია აკისრებს.

სამამულო ომის დღეებში საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას 40 ათასზე მეტი ახალი წევრი შეემატა. ეს ციფრი ნათლად მოწმობს იმ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მასშტაბს, რომელსაც მასებში ეწევიან ჩვენი პარტიული ორგანიზაციები.

პარტიაში ახალ წევრთა მიღების სწორად მოწყობა ყოველთვის იყო პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა. ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა მშვიდობიანი მშენებლობის ფერხულში ჩაბმული, პარტიაში ახალ წევრთა მიღება განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. პარტიული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა დაკვირვებული მიდგომა ადამიანებისადმი, მათი წინასწარ შესწავლა, თვითეულის უნარისა და შესაძლებლობის საფუძვლიანი ცოდნა, პარტიაში მიღების ნაცადი ლენინურ-სტალინური პრინციპის — ინდივიდუალური შერჩევის პრინციპის განუხრელად დაცვა. ადამიანები, რომლებიც პარტიაში შესასვლელად ემზადებიან, განსაკუთრებულ დახმარებასა და ყურადღებას საჭიროებენ. პარტიული ორგანიზაციები განუწყვეტლივ უნდა ზრუნავდნენ მათი პოლიტიკური დონის ასამაღლებლად, ამოწმებდნენ მათ, აძლევდნენ დავალებებს და ეხმარებოდნენ ამ დავალებათა შესრულებაში.

სადაც პარტიული ორგანიზაციები პარტიაში ახალ წევრთა მიღების საქმეს მთელი სერიოზულობით ეკიდებიან, იქ ზრდა კარგია, პარტიაში შედიან მოწინავე და ყოველმხრივ შემოწმებული ადამიანები. უპარტიო მასებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მაღალ დონეზე დაყენების, პარტიის რიგების ზრდისათვის ყოველდღიური ზრუნვის კარგ მაგალითებს იძლევიან თბილისის პარტიული ორგანიზაციები. 1944 წელს თბილისის პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიის წევრობის კანდიდატად 2.564 კაცი მიიღეს, 1945 წელს—2.736. ესენი არიან წარმოების ნოვატორები, სტახანოველი მუშები, საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. პარტიის რიგების ზრდისათვის სერიოზულ მუშაობას ეწევიან ფოთის, ლაგოდეხის, მახარაძის, ტყიბულის, ზუგდიდის, სამტრედიის, თეთრი წყაროს პარტიული ორგანიზაციები. განსაკუთრებით აღსანიშნავია პარტიის რიგების ზრდა მოწინავე, შრომაში სახელმოხვეჭილი კოლმეურნეებით. ლაგოდეხის რაიონში გასულ წელს პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებული 135 კაციდან 96 კოლმეურნეა. ტყიბულის პარტიული ორგანიზაციები ძირითად ყურადღებას უთმობენ პარტიაში მოწინავე მეშახტეთა მიღებას.

ყველგან ერთნაირი ყურადღებით როდი ეკიდებიან პარტიის რიგების ზრდას. იმის გამო, რომ უპარტიო მასებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა შეასუსტეს, პარტიის რიგების ზრდის მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა აქვთ ბათუმის, ქუთაისის, ჭიათურის საქალაქო კომიტეტებს, ადიგენის, ასპინძის, კასპის, წითელწყაროს, ჭიათურის, ჩხოროწყუს, ქობულეთის, გურჯაანის რაიონებს. ბათუმის საქალაქო ორგანიზაციაში მიმდინარე წლის იანვარში პარტიის წევრობის კანდიდატად მხოლოდ 8 ამხანაგია მიღებული, თებერვალში კი—15. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა ქუთაისისა და ჭიათურის საქალაქო ორგანიზაციებში. ჩხოროწყუს, ჭიათურისა და ქობულეთის რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებში ბოლო დროს განსაკუთრებით შესუსტდა კოლმეურნეთა მიღება პარტიის რიგებში.

საჭიროა გადაჭრით გაუმჯობესდეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა მასებში. აუცილებელია მეტი ვიმუშაოთ აქტივთან, უფრო მტკიცედ დავრაზმოთ იგი პარტიული ორგანიზაციების გარშემო. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების პერიოდში ათიათასობით ახალი აქტივისტი გამოვლინდა. ეს აქტივი არა მარტო უნდა შევინარჩუნოთ, არამედ მისი რიგები კიდევ უნდა გავზარდოთ. საუკეთესონი, ნამდვილად მოწინავე, ლენინ-სტალინის საქმის ერთგული ადამიანები ინდივიდუალური შერჩევის გზით მივიღოთ პარტიაში, სერიოზული ყურადღება მივაქციოთ წამყვანი პროფესიების მუშათა, მოწინავე კოლმეურნეთა მიღებას—ასეთია ამოცანა.

პარტიაში ახალ წევრთა მიღებისათვის ზრუნვა არა მარტო პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ეკისრებათ. პარტიის რიგების ზრდას ხელმძღვანელობენ რაიონული და საქალაქო კომიტეტები. მათს მუშაობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. საჭიროა რაიკომებმა და საქალაქო კომიტეტებმა გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი. ისინი სისტემატურად უნდა სწავლობდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების შემადგენლობას, საქმეს ისე აწყობდნენ, რომ პარტია განუწყვეტლივ იზრდებოდეს მოწინავე, შემოწმებული ადამიანებით.

ამასთანავე პარტიულმა ორგანიზაციებმა დაუღალავად უნდა იზრუნონ ახალმიღებულთა აღზრდისა და მათი პოლიტიკურად გამოწრთობისათვის, ჩააბან ისინი აქტიურ პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში.

ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ წინასაარჩევნო სიტყვაში შეაჯამა კომუნისტური პარტიის განვლილი მუშაობა და დაგვისახა პერსპექტივები. ბელადმა გვიჩვენა, რომ პარტიის პოლიტიკამ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. პარტია გახდა უფრო ძლიერი, ერთიანი, თავისი სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო შემჭიდროებული. განუზომლად ამაღლდა მისი ავტორიტეტი მასებში.

პარტიაში ახალ წევრთა მიღებისას ლენინურ-სტალინური პრინციპის—ინდივიდუალური შერჩევის პრინციპის განუხრელად დაცვით, ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდისათვის შეუნელებელი ზრუნვით კიდევ უფრო განვამტკიცებთ პარტიის რიგებს, გავაძლიერებთ მის კავშირს მშრომელთა უფართოეს მასებთან და წარმატებით გადავჭრით იმ გრანდიოზულ ამოცანებს, რომლებიც დაგვისახა დიდმა ბელადმა და მასწავლებელმა ამხანაგმა სტალინმა.

## მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის პასუხი იუნაიტედ პრესის სააგენტოს პრეზიდენტ ბ-ნ ჰიუ ბეილის დეპეშაზე

### იუნაიტედ პრესის სააგენტოს პრეზიდენტ ბ-ნ ჰიუ ბეილის დეპეშა

**მოსკოვი,** კრემლი

გენერალისიმუს სტალინს

მე მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო იმ განცხადებას, რომელიც უინსტონ ჩერჩილმა გაუკეთა იუნაიტედ პრესის სააგენტოს მთელი მსოფლიოს გაზეთებისა და რადიოკომპანიებისათვის გადასაცემად. ამასთან დაკავშირებით მინდა განვაახლო ჩემი წინადადება იმის შესახებ, რომ თქვენ იუნაიტედ პრესის სააგენტოს მისცეთ განცხადება საერთაშორისო მდგომარეობის გამო. თუ თქვენ გსურთ უპასუხოთ ჩერჩილის საბუთს იმის შესახებ, რომ ირანის საკითხში საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სწრაფი მოქმედება, იუნაიტედ პრესის სააგენტო მოხარული იქნება გადასცეს მსოფლიოს თქვენი შეხედულებანი. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გაქვთ ირანის ან საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შესახებ რაიმე სხვა საკითხები, რომლებზე შეჩერებასაც თქვენ ისურვებდით, გთხოვთ გამოიყენოთ ჩვენი შესაძლებლობანი, რასაც თქვენს განკარგულებაში გადმოვცემთ.

მიიღეთ ჩემი საუკეთესო სურვილები.

**ჰიუ ბეილი,** იუნაიტედ პრესის სააგენტოს პრეზიდენტი.

**ნიუ-იორკი,** 1946 წლის 22 მარტი.

### პასუხი იუნაიტედ პრესის სააგენტოს პრეზიდენტს ბ-ნ ჰიუ ბეილის

**ნიუ-იორკი**

**იუნაიტედ პრესის სააგენტოს პრეზიდენტს ჰიუ ბეილის**

**გმადლობთ თქვენი თავაზიანი წინადადებისათვის. ბ-ნ ჩერჩილის საბუთს დამაჯერებლად ვერ ჩავთვლი. რაც შეეხება ირანიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანის საკითხს, იგი, როგორც ცნობილია, უკვე გადაიჭრა დადებითად საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ირანის მთავრობას შორის შეთანხმებით.**

**ი. სტალინი**

**მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.**

**1946 წლის 25 მარტი.**

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

26) კავშირგაბმულობის სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: ა. ა. კონიუხოვი (საერთო საკითხებზე), ს. ი. ალიუშინი, ი. ვ. კლოკოვი, პ. ა. სარატოვკინ-პროვორკინი, ა. დ. ფორტუშენკო, რ. ა. პოპოვი.

27) იუსტიციის სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: ა. ტ. რუბიჩევი (საერთო საკითხებზე), ე. ლ. ზეიდინი, ნ. კ. მოროზოვი, გ. ნ. პუგოვკინი.

28) ვაჭრობის სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: ა. ი. სმირნოვი (საერთო საკითხებზე), მ. მ. დენისოვი, ს. ა. ტრიფონოვი, ა. ნ. კუჩერენკო, ა. ვ. შაროვი, ა. ე. სკვორცოვი.

29) ფინანსთა სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: ა. ა. პოსკონოვი (საერთო საკითხებზე), ფ. ა. ურიუპინი, ა. პ. სილაევი, ა. ვ. დობროვოლსკი, ა. ვ. გრებნევი.

30) სატყეო მრეწველობის სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: ფ. დ. ვარაკსინი (საერთო საკითხებზე), ი. პ. მენშიკოვი, ა. ი. ბოვინი, გ. ე. კოფტოვი, ს. მ. ჩერნიაევი.

31) ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: ა. ე. იზვეკოვი (საერთო საკითხებზე), ი. ი. რადჩუკი, ტ. ფ. ტრუდოვი, ბ. ზ. სმოლიანიცკი.

## საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისიის პრეს-კომუნიკე № 1

სეულში მუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივმა კომისიამ საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირის III განყოფილების მე-2 და მე-3 მუხლების (კორეის შესახებ) გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. პირველი სხდომა შედგა 20 მარტს.

გენერალ-ლეიტენანტმა ჰოჯმა და გენერალ-პოლკოვნიკმა შტიკოვმა წარმოსთქვეს სიტყვები, რომლებიც გადაცემულ იქნა რადიოთი. სხდომას დაესწრნენ საბჭოთა სამხედრო სარდლობის წარმომადგენლები: ს. კ. ცარაპკინი, გენერალ-მაიორი ლებედევი, გ. მ. ბალასანოვი და პოლკოვნიკი კორკულენკო, მრჩევლები და ექსპერტები; ამერიკის სამხედრო სარდლობის წარმომადგენლები: გენერალ-მაიორი არნოლდი, ბ-ნი ლანგდონი, ბ-ნი ტეიერი, პოლკოვნიკი ბუტი, პოლკოვნიკი ბრიტონი, მრჩევლები და ექსპერტები. დაესწრნენ ამერიკული და კორეული გაზეთების კორესპონდენტები.

სხდომის ფორმალური ნაწილის შემდეგ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისია შეუდგა კომისიის მუშაობის დღის წესრიგის განხილვას. მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება კომისიის მუშაობის წესის შესახებ. ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის გადაწყვეტილების თანახმად კომისიის მოვალეობის შესრულების უკეთესი მეთოდის შესახებ.

**საბჭოთა დელეგაციის მეთაური გენერალ-პოლკოვნიკი შტიკოვი**

**ამერიკის დელეგაციის მეთაური ამერიკის არმიის გენერალ-მაიორი არნოლდი**

სეული, კორეა. 1946 წლის 21 მარტი.

## მოსკოვს ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაცია

ამა წლის 25 მარტს მოსკოვს ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საგარეო ვაჭრობის მინისტრი ბ-ნი ჰუბერტ რიპკა.

დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდნენ ექსპერტები, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის მრეწველობის წარმომადგენლები.

აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ: სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე მ. რ. კუზმინი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს სავაჭრო ხელშეკრულებათა განყოფილების უფროსი პ. ნ. კუმიკინი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს პირველი საიმპორტო სამმართველოს უფროსი ბ. პ. მარტინოვი და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საოქმო ნაწილის უფროსი ვ. გ. კირილოვი.

დელეგაციას შეხვდნენ აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ი. გორაკი და საელჩოს წევრები.

დელეგაციასთან ერთად მოსკოვს ჩამოვიდა სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ჩეხოსლოვაკიაში ი. ვ. ბაკულინი.

### ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით

## უკრაინელ მაღაროელთა დელეგაცია ჭიათურაში

**ჭიათურა,** („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). ნიკოპოლიდან ჭიათურაში ჩამოსულმა უკრაინელ მაღაროელთა დელეგაციამ დაათვალიერა ლენინის, სტალინის, კაგანოვიჩისა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროები, გაეცნო მარგანეცის გამაუხვებელი ქარხნების მუშაობას, მოწინავე მაღაროელთა გამოცდილებას და მუშაობის მეთოდებს.

უკრაინელმა სტუმრებმა შეამოწმეს ჭიათურელ და ნიკოპოლელ მაღაროელებს შორის დადებული სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების შესრულების შედეგები და ახალი ხელშეკრულება გააფორმეს 1946 წლისათვის.

სამშობლოში გამგზავრებისას მოძმე რესპუბლიკის მაღაროელებს ჭიათურის მშრომელებმა სადგურზე გულთბილი გაცილება მოუწყეს.

**პ. ჭიოკაძე**

## ალბანეთის მთავრობის დეკლარაცია

**ტირანა,** 26 მარტი. (საკდესი). 24 მარტს ალბანეთის პრემიერ-მინისტრმა ენვერ ხოჯამ სახალხო კრებაში ალბანეთის ახალი მთავრობის დეკლარაცია გამოაქვეყნა.

„კონსტიტუციის გამოქვეყნებით,—ნათქვამია დეკლარაციაში,—დამფუძნებელმა კრებამ შეასრულა თავისი ისტორიული მისია, რომელიც მას ხალხმა დააკისრა. კონსტიტუციამ ჩამოაყალიბა ალბანეთის სახელმწიფო, მისცა ალბანეთს რესპუბლიკური რეჟიმი და ამით გამოხატა მთელი ალბანელი ხალხის სურვილი".

დეკლარაცია აღნიშნავდა დიდ მიღწევებს სახელმწიფოს გარდაქმნის ყველა დარგში, აგრეთვე ხალხის მასების პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლების საქმეში. დეკლარაცია სახავს ახალი ალბანეთის მშენებლობის შემდგომ პროგრამას და აღნიშნავს, რომ მოსალოდნელია მრავალი სიძნელე, მაგრამ, ისე როგორც ომის დროს, ალბანელი ხალხი და მისი მთავრობა საერთო ღონისძიებებით ამ სიძნელეებს გადალახავენ.

დეკლარაცია მოაგონებს დიდ მოკავშირეებს სამხედრო რეპარაციებს, რასაც ალბანეთი გერმანიისა და იტალიისაგან მოითხოვს.

საგარეო პოლიტიკის დარგში ალბანეთის მთავრობა აცხადებს, რომ იგი განახორციელებს მშვიდობის, დემოკრატიისა და თავისი ქვეყნის ინტერესების დასაცავად მიმართულ საგარეო პოლიტიკის პროგრამას. ალბანეთი, ნათქვამია დეკლარაციაში, მტკიცედ იცავს სამართლიან მოთხოვნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მისი მიღების შესახებ.

გადამწყვეტი როლი ფაშიზმზე გამარჯვებაში,— ნათქვამია შემდეგ დეკლარაციაში,—საბჭოთა კავშირმა შეასრულა! ჩვენი ქვეყანა მას უმადლის თავის განთავისუფლებას. სახელოვანი საბჭოთა კავშირი ყველაზე საიმედო დამცველია პატარა ხალხებისა, მათი სუვერენობისა და დამოუკიდებლობისა. ალბანელმა ხალხმა კარგად შეიგნო ეს და ღრმა და გულწრფელ სიყვარულს გამოხატავს საბჭოთა კავშირისა და მისი დიდი ბელადისადმი. მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს იმისათვის, რომ ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან კიდევ უფრო განმტკიცდეს.

შემდეგ დეკლარაციაში მაღალი შეფასება ეძლევა იმ დახმარებას, რაც ალბანეთს აღმოუჩინა იუგოსლავიამ, რომელიც „ალბანეთის რესპუბლიკის საუკეთესო მეგობართა პირველ რიგში" დგას. ალბანეთის მთავრობას იმედი აქვს აგრეთვე განამტკიცოს მეგობრული თანამშრომლობა ბულგარეთთან, პოლონეთთან, ჩეხოსლოვაკიასთან და აგრეთვე საფრანგეთთან.

ამავე დროს მთავრობა მწუხარებას გამოსთქვამს, რომ „ის გულითადი ურთიერთობა, რაც ალბანელ და ბერძენ ხალხებს შორის დამყარდა საერთო მტრის წინააღმდეგ ომის დროს, შეწყვეტილ იქნა ათენელი ფაშისტების მიერ". დეკლარაცია იხსენიებს ბერძენ მონარქისტთა პროვოკაციებს ალბანეთის საზღვარზე და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ალბანელი ხალხი ნებას არ მისცემს თუნდაც ერთი ნაბიჯით გადაწეულ იქნას სასაზღვრო სვეტი. დასასრულ ალბანეთის მთავრობა მოუწოდებს მთელ ხალხს განამტკიცოს თავისი ეროვნული არმია და თავდადებულად დაეხმაროს მთავრობას აღდგენითი სამუშაოების სიძნელეთა გადალახვაში.

## სლოვაკიაში აღმოაჩინეს ფაშისტური შეთქმულება

**პრაღა,** 26 მარტი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა სლოვაკიაში ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულების აღმოჩენის შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობაში ნათქვამია, რომ ამ არალეგალურ ორგანიზაციას კავშირი ჰქონდა ვატიკანთან, სადაც ამჟამად მოქმედებენ ტისოს ყოფილი წარმომადგენლები ვატიკანთან სიდორი და სლოვაკიის მარიონეტული მთავრობის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი დურჩანსკი. შეთქმულები არალეგალურად სცემდნენ გაზეთ „სლოვაკს".

ამ არალეგალური ორგანიზაციის ძირგამომთხრელ საქმიანობაში მონაწილეობას იღებდა ზოგიერთი კათოლიკე მღვდელი. შეთქმულთა საქმიანობა მიმართული იყო ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს, მისი დამოუკიდებლობის, სახელმწიფოს ერთიანობისა და დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგ. ორგანიზაცია აგრეთვე ამოცანად ისახავდა ძირი გამოეთხარა ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის მეგობრული ურთიერთობისათვის. ამ ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის ინსპირატორი, აცხადებს შინაგან საქმეთა სამინისტრო, არის პროფესორი დიმისლავ კოლაკოვიჩი, იეზუიტი მღვდელი, რომელიც ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე შემოვიდა ჯერ კიდევ 1943 წელს. შარშან დეკემბერში კოლაკოვიჩი, რომელიც უცხოეთის დაზვერვის აგენტი იყო, გარკვეულ პირებს ხვდებოდა რომში. შემდეგ იგი დაბრუნდა პრაღას და იქ დაიწყო არალეგალური ჯგუფების შექმნა. შინაგანი ვაჭრობის სამინისტროში მისი აგენტები იყვნენ ვაცლავ ვაშკო და ფრანტიშეკ სზაბო. კოლაკოვიჩის აქტიური აგენტი იყო აგრეთვე კათოლიკური პარტიის ჟურნალ „ობზორის" რედაქტორი ბოგდან ხუდობა.

გაზეთი „პრავო ლიდუ" იუწყება, რომ შეთქმულთა ცენტრის აღმოჩენასთან დაკავშირებით სლოვაკიაში დაპატიმრებულია 100-მდე კაცი. ისინი ყველანი წარსდგებიან სასამართლოს წინაშე სახელმწიფოს დაცვის შესახებ რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტის საფუძველზე.

## „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" კორესპონდენტი საბერძნეთში არსებული მდგომარეობის შესახებ

**ნიუ-იორკი,** 23 მარტი. (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" ათენელი კორესპონდენტი აცხადებს, რომ საბერძნეთში არსებული მდგომარეობა ამართლებს მემარცხენეთა მოთხოვნას არჩევნების გადადების შესახებ. კორესპონდენტმა ათასი მილი გაიარა პელოპონესში, ეპირსა და საბერძნეთის სხვა ადგილებში და ყველგან ნახა, რომ მონარქისტთა ბანდებს ტერორქვეშ ჰყავთ დაყენებული თავიანთი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი. „ბევინს,—სწერს კორესპონდენტი, — ეგამყოლებოდ რომ ემგზავრნა მარტო პელოპონესში, მას შეეძლო ეჭვი შეეტანა საბერძნეთის მდგომარეობის შესახებ იმ იდილიური პატაკების სიმართლეში, რომლებსაც ლონდონში საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით იღებენ".

ერთ მთა სოფელში,—სწერს კორესპონდენტი,—ახალგაზრდა მონარქისტი იკვეხნიდა:

„მე ამ სოფლიდან განვდევნე სამი კომუნისტი, და ისინი აღარ დაბრუნებულან. 31 მარტის შემდეგ ჩვენ ყველა კომუნისტს გავდევნით". მონარქისტული „სახალხო პარტია" ოფიციალურად განზე უდგას ტერორისტებს, მაგრამ ფაქტიურად მათთან თანამშრომლობს. ქალაქ კალავრიტაში, სადაც გერმანელებმა 1943 წელს ათასზე მეტი კაცი დახოცეს, მონარქისტები მემარცხენეებს უყენებენ ფანტასტიკურ ბრალდებას, თითქოს მათ პროვოკაციულად გამოიწვიეს ეს ჟლეტა, რათა მონარქისტები მოესპოთ, და ანგარიშს არ უწევენ იმ ფაქტს, რომ გერმანელები ხოცავდნენ პარტიზანთა ოჯახებს. ერთ-ერთმა მემარცხენე ლიდერმა განაცხადა, რომ ჟანდარმებს წინასწარ მისდით ცნობები მონარქისტთა თავდასხმების შესახებ, მაგრამ ისინი აქეზებენ ამ თავდასხმებს. კორესპონდენტის სიტყვით, მონარქისტები იკვეხნიან თავიანთ „საგმირო საქმეებს", რასაც ისინი კომუნისტებისაგან „თავდაცვის" საბაბით სჩადიან. ყოველივე ეს, აცხადებს კორესპონდენტი, აბათილებს ბევინის მტკიცებას იმის შესახებ, რომ საბერძნეთში მშვიდობა სუფევს. არჩევნების ამერიკელ მეთვალყურეებს, სწერს კორესპონდენტი, ნებას არ აძლევენ შეეხონ ამ საკითხს, მაგრამ ბევრი მათგანი კერძო საუბარში ამტკიცებდა, რომ შეიქმნა სამარცხვინო მდგომარეობა და რომ პატიოსნური არჩევნები ახლანდელ პირობებში შეუძლებელია.

## საყოველთაო გაფიცვა ქალაქ კანიაში

**ათენი,** 24 მარტი. (საკდესი). ამ დღეებში ქალაქ კანიაში (კუნძული კრეტა) დაიწყო საყოველთაო გაფიცვა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ მუშები, მოსამსახურეები, შინამრეწველები, მედუქნეები და გლეხები. გაფიცულები მოითხოვენ მონარქისტ-ფაშისტთა ბანდების ტერორის შეწყვეტას, მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას და სახალხო წარმომადგენელთა შეყვანას იმ კომისიაში, რომელიც იუნრასაგან მიღებულ საქონელს ანაწილებს. ამასთან დაკავშირებით კანიაში შედგა ხალხმრავალი დემონსტრაცია. მიღებული ცნობებით, შეიარაღებული მონარქისტ-ფაშისტთა ორგანიზაციების წევრები დემონსტრანტებს ხელის გრანატებს ესროდნენ. არიან მოკლულნი და დაჭრილნი. გამოქვეყნდა მთავრობის კომუნიკე, რომელშიც საყოველთაო გაფიცვის მონაწილეებს „ანარქისტებს" უწოდებენ. მთავრობა იმუქრება, კანიის ოლქში სამხედრო წესებს შემოვიღებო, და გაფრთხილებას იძლევა, რომ სუდის ნავსადგურში საბერძნეთის საესკადრო ნაღმოსანი „მიაულისი" იმყოფება.

## თეირანის რადიო უარჰყოფს ანკარის პროპაგანდის მონაჭორს

**თეირანი,** 24 მარტი. (საკდესი). თეირანის რადიომ დღეს გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება:

„უკანასკნელ ორ დღეს ანკარის რადიოსადგურმა გადასცა სიმართლეს მოკლებული ცნობა იმის შესახებ, რომ თეირანში თითქოს მოხდა არეულობა, რამაც გამოიწვია ცენტრალური გარნიზონის ჩარევა. მეგობრული და მეზობელი სახელმწიფოს რადიოსადგურის მიერ ასეთი ცნობების გადაცემა მოულოდნელი იყო საზოგადოებრიობისათვის და დედაქალაქის სხვადასხვა წრეებმა ისინი შეაფასეს როგორც ისეთი ცნობები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მეგობრობის პრინციპს. სხვადასხვა წრეები, რომლებმაც განიხილეს ეს ყალბი ცნობები, ვერ მიხვდნენ ამ არამეგობრული საქციელის და სიმართლეს მოკლებული ცნობების გავრცელების მიზეზს.

ცხადია, ირანელ ხალხს იმედი აქვს, რომ ანკარის რადიოსადგური შეეცდება ამ საქციელის გამოსწორებას და თავს შეიკავებს პროვოკაციული მოქმედებისაგან, რომელიც შეუთავსებელია ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის მეგობრობასთან".

## ეგვიპტური პრესა ეგვიპტეში ინგლისის ჯარების ყოფნის შესახებ

**კაირო,** 23 მარტი. (საკდესი). გაზეთმა „ვაფდ ელ მისრიმ" მოათავსა სტატია, რომელშიც აღნიშნავს: არ არსებობს არავითარი ნიშანი, რომ ინგლისს განზრახული ჰქონდეს ეგვიპტიდან თავისი ჯარების ევაკუაცია.

„ჩვენ შევიტყეთ,—სწერს გაზეთი,—რომ ინგლისელმა სამხედრო მოსამსახურეებმა მიიღეს ბრძანება, 1 აპრილიდან აკრძალულია კაიროს ქუჩებში სამხედრო ფორმით გამოსვლა. ქალაქში გამოსვლა ნებადართულია მხოლოდ სამოქალაქო კოსტიუმით. ამრიგად, ევაკუაციის ნაცვლად ინგლისელები აპირებენ მხოლოდ კოსტიუმების გამოცვლას".

გაზეთი „მისრ ელ ფატატი" ეხება ეგვიპტეში ინგლისის ჯარების ყოფნას და სწერს: „ჩვენ გვაცნობეს, რომ ინგლისის სამხედრო ხელისუფალნი ხელახალ კონტრაქტებს სდებენ ეგვიპტეში 1947 წლის ბოლომდე ინგლისის ჯარების მიერ შენობების გამოყენების შესახებ. როგორ შეიძლება ამის შემდეგ გვჯეროდეს, რომ ინგლის-ეგვიპტის მოთავალ მოლაპარაკებას მიზნად აქვს შეთანხმების მიღწევა ეგვიპტიდან ინგლისის ჯარების ევაკუაციის შესახებ? რატომ აახლებენ ამჟამად ამ კონტრაქტებს? ჩვენ ვფიქრობთ, რომ მთავრობა, რომელიც ხალხს სთხოვდა ნდობა აღმოეჩინა მისათვის, თავის სიტყვას იტყვის ამის შესახებ".

# ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘ

## Კ Ა Ნ Ო Ნ Ი

## ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ 1946-1950 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" №№ 60, 61, 62).

27. გადიდდეს რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობის როლი იმ პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოებაში, რომელიც ხმარდება რესპუბლიკის მეურნეობის საჭიროებათა უზრუნველყოფას. ფართოდ გაჩაღდეს მცირე სამრეწველო საწარმოთა მოწყობა და მშენებლობა, მათ შორის ამოქმედდეს 1946-1950 წლებში 4,6 მილიონი ტონა ქვანახშირის სიმძლავრის ქვანახშირის მცირე შახტები და შტოლნები დონბასსა და უკრაინის დასავლეთ ოლქებში, ტორფბრიკეტის ქარხნები 50 ათასი ტონა ბრიკეტის სიმძლავრისა, მინის ქარხნები 1,3 მილიონი კვადრატული მეტრი მინის სიმძლავრისა, აგურის ქარხნები 900 მილიონი ცალი აგურის სიმძლავრისა, აგრეთვე ამოქმედდეს საგლინავი დაზგები, სამშენებლო მასალათა მრეწველობის, ლითონდამმუშავებელი, ხის დამმუშავებელი მრეწველობის, მსუბუქი, საფეიქრო და კვების მრეწველობის საწარმოები.

დაწესდეს 1950 წლისათვის სამრეწველო პროდუქციის წარმოება რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში 9,2 მილიარდი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქციისა 3,1 მილიარდი მანეთის რაოდენობით. განვითარდეს ხილისა და ბოსტნეულის ხმობა. ყოველმხრივ ათვისებულ იქნას ტბა-მდინარეთა წყალსატევები და განვითარდეს კულტურული გუბური სამეთევზეო მეურნეობანი.

28. დაწესდეს უკრაინის სს რესპუბლიკაში ნათესი ფართობები 1950 წლისათვის 30,5 მილიონი ჰექტარის რაოდენობით, აქედან კოლმეურნეობებში 21,3 მილიონი ჰექტარი, მათ შორის მარცვლეული კულტურებისა 19,6 მილიონი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 14,1 მილიონი ჰექტარი; ტექნიკური კულტურებისა 2,6 მილიონი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 2,2 მილიონი ჰექტარი; ბოსტნეულ-ბახჩეულისა და კარტოფილისა 2,8 მილიონი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 1 მილიონი ჰექტარი, და საკვები კულტურებისა 5,4 მილიონი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 4 მილიონი ჰექტარი. დაწესდეს შაქრის ჭარხლის ნათესი ფართობი 830 ათასი ჰექტარის და მზესუმზირასი 801 ათასი ჰექტარის რაოდენობით. აღდგენილ იქნას სვიის პლანტაციები. გადიდდეს ევროპული ჯიშების ვენახთა ფართობი.

ჩატარდეს წყალთა მეურნეობის ღონისძიებანი 40 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ამოსაშრობად და 30 ათასი ჰექტარის მოსარწყავად, ამასთან აღდგენილ იქნას და აშენდეს ყველა ნაგებობანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მათს ნორმალურ ექსპლოატაციას.

განისაზღვროს პირუტყვის სულადობა 1950 წლის დამლევისათვის შემდეგი რაოდენობით: ცხენი 2.629 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 1.363 ათასი სული; მსხვილფეხა რქიანი საქონელი 12.230 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 4.700 ათასი სული; ცხვარი და თხა 6.780 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 3.100 ათასი სული; ღორი 9.600 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 3.300 ათასი სული.

29. დამტკიცდეს ძირითადი დავალებანი კულტურული მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში: 1950 წელს სკოლების რიცხვი აყვანილ იქნას 29.045-მდე და სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 6,3 მილიონამდე და საავადმყოფოს საწოლთა რიცხვი 173.100-მდე.

30. სავსებით აღდგენილ იქნას რკინიგზის ხაზები და კვანძები, ორთქლმავალ და ვაგონსარემონტო ქარხნები და დეპოები. გაძლიერდეს სამდინარო და საზღვაო ტრანსპორტი და მნიშვნელოვნად გადიდდეს ფლოტის ტონაჟი; აღდგენილ იქნას გემთმშენებელი მრეწველობის საწარმოები.

უზრუნველყოფილ იქნას მცირე მდინარეების ფართოდ ათვისება სატრანსპორტო მიზნებისათვის, ამასთან გამოყენებულ იქნან ისინი ადგილობრივ ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობისა და მეთევზეობის განვითარებისათვის.

აღდგენილ იქნას და გაუმჯობესდეს მოსკოვ-ხარკოვის ავტომაგისტრალი და გაყვანილ იქნას საავტომობილო გზები, რომლებიც უკრაინის სს რესპუბლიკის ქალაქებს დააკავშირებენ ჩრდილოეთ კავკასიისა და ყირიმის ქალაქებთან.

31. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის უკრაინის სს რესპუბლიკის ქალაქებში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 15.920 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით 1.150 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით.

განხორციელდეს სამუშაოები ოკუპანტების მიერ დანგრეული ქალაქებისა და მუშათა დაბების, პირველ რიგში კიევის, ხარკოვის, ჩერნიგოვის, ოდესის, დნეპროპეტროვსკის, სტალინოსა და ზაპოროჟიეს საბინაო და კომუნალური მეურნეობის აღსადგენად.

32. გადაიქცეს ქალაქი ლვოვი უკრაინის მსხვილ ინდუსტრიულ ცენტრად.

აშენდეს და ამოქმედდეს ქალაქ ლვოვში ავტოსაამწყობო ქარხანა, ელნათურის ქარხანა, ტელეგრაფისა და ტელეფონის აპარატურის ქარხანა, მინის ქარხანა, ტრიკოტაჟის ფაბრიკა, კვების მრეწველობის საწარმოები, აგრეთვე აღდგენილ იქნას და გადიდდეს ქალაქის ელექტროსადგურის სიმძლავრე.

33. უზრუნველყოფილ იქნას უკრაინის იმიერკარპატის ოლქის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის უსწრაფესი აღდგენა და განვითარება. გათვალისწინებულ იქნას პირველ რიგში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით მებაღეობის, მევენახეობის, მეცხოველეობისა და მეფუტკრეობის, აგრეთვე ხისდამმუშავებელი, სატყეო-ქიმიური და კვების მრეწველობის აღდგენა და განვითარება. მოეწყოს მურა ნახშირის მოპოვების მრეწველობა და აშენდეს მსუბუქი მრეწველობის ახალი საწარმოები.

სახელმწიფო დახმარება გაეწიოს უკრაინის იმიერკარპატის ოლქის გლეხთა მეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, სასუქებითა და კრედიტით.

### ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

34. დამტკიცდეს ბელორუსიის სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

| | |
|---|---|
| ელექტროენერგია (მილიონ კილოვატ-საათობით) | 650 |
| ტორფი (ათას ტონობით) | 4.162 |
| ლითონსაჭრელი ჩარხები (ცალობით) | 4.325 |
| ტრაქტორები (ათას ცალობით) | 5 |
| ცემენტი (ათას ტონობით) | 320 |
| ფანჯრის მინა (ათას კვადრატულ მეტრობით) | 5.000 |
| მერქნის გამოზიდვა (ათას კუბურ მეტრობით) | 11.100 |
| დახერხილი მასალა (ათას კუბურ მეტრობით) | 1.800 |
| ასანთი (მილიონ კოლოფობით) | 1.550 |
| სპირტი (ათას დეკალიტრობით) | 7.600 |
| ხორცი (ათას ტონობით) | 46 |
| ერბო-კარაქი (ათას ტონობით) | 10 |
| თევზჭერა (ათას ტონობით) | 5,2 |

35. დამტკიცდეს კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 1946-1950 წლებისათვის ბელორუსიის სს რესპუბლიკაში 6.950 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 2.422 მილიონი მანეთის რაოდენობით.

36. ამოქმედდეს ტორფსაწარმოები წლიურად 1,6 მილიონი ტონა ტორფის მოპოვების საერთო სიმძლავრისა. აშენდეს ტორფბრიკეტის ქარხნები წლიურად 130 ათასი ტონის სიმძლავრისა.

აღდგენილ იქნას და ამოქმედდეს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანა, დაზგათმშენებელი ქარხნები 4.500 დაზგის საერთო სიმძლავრისა, ცემენტის ქარხნები 180 ათასი ტონის სიმძლავრისა, გომელის მინის ქარხანა, ხის დამმუშავებელი კომბინატები, ფანერისა და ასანთის ქარხნები; დამთავრდეს 600 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის საერთო სიმძლავრის სამი სახლმშენებელი კომბინატის მშენებლობა.

მოეწყოს სატრაქტორო და ველოსიპედის ქარხნები და დამთავრდეს საავტომობილო ქარხნის მშენებლობა.

აღდგენილ იქნას და ამოქმედდეს 243 ათასი კილოვატის სიმძლავრის ელექტროსადგურები; აშენდეს 16 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრის მცირე ჰიდროელექტროსადგურები; აღდგენილ იქნას კომუნალური ელექტროსადგურები გომელში, მოზირში, გროდნოსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

37. რესპუბლიკური მეურნეობის განვითარების მიზნით ამოქმედდეს 47 ათასი კილოვატის სიმძლავრის რესპუბლიკური დაქვემდებარების ელექტროსადგურები, მათ შორის 10 ათასი კილოვატის სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები, 10 ათასი ტონის სიმძლავრის ადგილობრივი მნიშვნელობის საგლინავი დაზგები, 10 ათასი ტონა თუჯის მილის სიმძლავრის მილსამსხმელო ქარხანა, 165 ათასი ტონის სიმძლავრის ცემენტის ქარხანა, 1.250 მილიონი აგურის საერთო სიმძლავრის აგურის ქარხნები.

ამოქმედდეს რესპუბლიკურ მეურნეობაში ოთხი დაზგათმშენებელი ქარხანა 1.150 დაზგის სიმძლავრისა, რადიოქარხანა, საინსტრუმენტო ქარხანა, ჰიდროტურბინების ქარხანა, ორი ქარხანა ტორფის მოწყობილობის გამოსაშვებად, ელექტრომოტორების ქარხანა და ოთხი ფეხსაცმლის ფაბრიკა.

აღდგენილ იქნას და აშენდეს 17 ხორცკომბინატი, 10 მეფრინველეობის კომბინატი, 11 საქალაქო სარძეო ქარხანა, 2 რძის კონსერვის ქარხანა და 150 ერბო-კარაქ-ყველის ქარხანა.

დაწესდეს რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში 1950 წელს სამრეწველო პროდუქციის წარმოება 2,2 მილიარდი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქციისა 850 მილიონი მანეთის რაოდენობით.

1948 წლისათვის ომამდელ ოდენობამდე აღდგენილ იქნას გუბური სამეთევზეო მეურნეობა. ათვისებულ იქნას რესპუბლიკის დასავლეთი ოლქების ტბა-მდინარეთა მეურნეობა.

38. დაწესდეს ნათესი ფართობები 1950 წლისათვის 5,3 მილიონი ჰექტარის რაოდენობით, აქედან კოლმეურნეობებში 2,85 მილიონი ჰექტარი, მათ შორის მარცვლეული კულტურებისა 3,2 მილიონი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 1,8 მილიონი ჰექტარი; ტექნიკური კულტურებისა 344 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 210 ათასი ჰექტარი, ბოსტნეულ-ბაღჩეულისა და კარტოფილისა 1.060 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 389 ათასი ჰექტარი; საკვები კულტურებისა 690 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 435 ათასი ჰექტარი.

ჩატარდეს ღონისძიებანი 270 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ამოსაშრობად, ამასთან აღდგენილ იქნას დასაშრობი ქსელი, წყალსაშვები მოწყობილობა და სხვა ნაგებობანი.

განისაზღვროს პირუტყვის სულადობა 1950 წლის დამლევისათვის შემდეგი რაოდენობით: ცხენი 770 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 330 ათასი სული; მსხვილფეხა რქიანი საქონელი 2.860 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 852 ათასი სული; ცხვარი და თხა 2.900 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 600 ათასი სული; ღორი 2.600 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 300 ათასი სული.

39. დამტკიცდეს ძირითადი დავალებანი კულტურული მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში: 1950 წელს სკოლების რიცხვი აყვანილ იქნას 11.375-მდე, სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 1.500 ათასამდე, საავადმყოფოს საწოლთა რიცხვი 30.000-მდე.

40. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის ბელორუსიის სს რესპუბლიკის ქალაქებში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 2.700 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით 650 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით. ჩატარდეს ოკუპანტების მიერ დანგრეული ქალაქების, პირველ რიგში ქალაქ მინსკის საბინაო და კომუნალური მეურნეობის აღდგენის სამუშაოები.

### ᲣᲖᲑᲔᲙᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

41. დამტკიცდეს უზბეკეთის სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

| | |
|---|---|
| ფოლადი (ათას ტონობით) | 86 |
| ქვანახშირი (ათას ტონობით) | 1.130 |
| ნავთი (ათას ტონობით) | 1.066 |
| ელექტროენერგია (მილიონ კილოვატ-საათობით) | 2.135 |
| სუპერფოსფატი (ათას ტონობით) | 300 |
| ცემენტი (ათას ტონობით) | 270 |
| ბამბის ქსოვილი (ათას მეტრობით) | 160.900 |
| აბრეშუმის ქსოვილი (ათას მეტრობით) | 14.000 |
| ფეხსაცმელი (ათას წყვილობით) | 6.150 |
| მცენარეული ზეთი (ათას ტონობით) | 173 |
| ფხვნილი შაქარი (ათას ტონობით) | 55 |
| გაუწმენდელი სპირტი (ათას დეკალიტრობით) | 1.300 |
| ხორცი (ათას ტონობით) | 20 |
| ერბო-კარაქი (ტონობით) | 1.900 |
| თევზჭერა (ათას ტონობით) | 22,5 |

42. დამტკიცდეს კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა უზბეკეთის სს რესპუბლიკაში 1946-1950 წლებისათვის 3.900 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 1.266 მილიონი მანეთის რაოდენობით.

43. აშენდეს და ამოქმედდეს 303 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრის ელექტროსადგურები, მათ შორის ჰიდროელექტროსადგურები 266 ათასი კილოვატის სიმძლავრისა. დამთავრდეს შავი მეტალურგიის საფოლადე თუჯის ქარხნის მშენებლობა, აშენდეს ხელოვნური ბოჭკოს ფაბრიკა; აშენდეს და ამოქმედდეს 2 სუპერფოსფატის ქარხანა. დაიდგას და ამოქმედდეს ფერგანის ბამბეულის ფაბრიკაში 28 ათასი სართავი თითისტარი და ტაშკენტის ბამბეულის კომბინატში 60 ათასი თითისტარი. გაფართოვდეს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნების სიმძლავრე, ათვისებულ იქნას საფეიქრო მანქანების წარმოება, გადიდდეს საშუალო და მცირე ჰიდროტურბინების და ქიმიური მოწყობილობის გამოშვება. დაიწყოს ახალი აზოტტუკის ქარხნის, სპილენძის კომბინატისა და თუთიის ქარხნის მშენებლობა. დაჩქარდეს შახტმშენებლობა ანგრენის ქვანახშირის საბადოში.

გადიდდეს ნავთის სამრეწველო მარაგი 665 ჰაბურღილ-წერტით, ვოლფრამის სამქვეყანგის, თვითნაბადი გოგირდის სამრეწველო მარაგი, აგრეთვე ასათვისებლად მომზადდეს ალმალიკის სპილენძის მადნის საბადო.

44. რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში ამოქმედდეს 10,9 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრის კომუნალური ელექტროსადგურები და 350 ათასი ტონა სიმძლავრის ქვანახშირის შახტები.

დაწესდეს 1950 წლისათვის სამრეწველო პროდუქციის წარმოება რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში 2,8 მილიარდი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქციისა 550 მილიონი მანეთის რაოდენობით. მნიშვნელოვნად გადიდდეს ხმელი ხილის გამოშვება.

45. დაწესდეს ნათესი ფართობები 1950 წლისათვის 3.313 ათასი ჰექტარის რაოდენობით, აქედან კოლმეურნეობებში 2.985 ათასი ჰექტარი, მათ შორის: მარცვლეული კულტურებისა 1.371 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 1.225 ათასი ჰექტარი; ტექნიკური კულტურებისა 1.131 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 1.087 ათასი ჰექტარი; ბოსტნეულ-ბაღჩეულისა და კარტოფილისა 112 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 73 ათასი ჰექტარი; საკვები კულტურებისა 685 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 600 ათასი ჰექტარი.

უზრუნველყოფილ იქნას მებაღეობის, მევენახეობისა და მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარება.

გადიდდეს ბამბის მოსავლიანობა და ნათესი ფართობები 955 ათას ჰექტარამდე. უზრუნველყოფილ იქნას 460 ათასი ჰექტარი მიტოვებული და გამოუყენებელი სარწყავი მიწების სასოფლო-სამეურნეო გამოყენება, მათ შორის 320 ათასი ჰექტარისა ბამბის და იონჯის დასათესად. გამოყენებულ იქნას სოფლის მეურნეობისათვის საირიგაციო მშენებლობის საშუალებით 173 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწები და ჩატარდეს ღონისძიებანი არსებული სარწყავი ფართობების წყლით უზრუნველყოფისა და მელიორატიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

განისაზღვროს პირუტყვის სულადობა 1950 წლის დამლევისათვის შემდეგი რაოდენობით: ცხენი 498 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 458 ათასი სული; მსხვილფეხა რქიანი საქონელი 1.765 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 670 ათასი სული; ცხვარი და თხა 9.650 ათასი სული, აქედან კოლმეურნეობებში 7.500 ათასი სული.

46. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის უზბეკეთის სს რესპუბლიკის ქალაქებში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 900.000 კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით 60 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით. ამუშავდეს ტროლეიბუსი ტაშკენტში, გაფართოვდეს ტაშკენტისა და ტერმეზის წყალსადენთა სიმძლავრე.

47. დამტკიცდეს ძირითადი დავალებანი კულტურული მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში: 1950 წელს სკოლების რიცხვი აყვანილ იქნას 4.740-მდე, სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 1.085 ათასამდე და საავადმყოფოს საწოლთა რიცხვი 29.600-მდე.

### ᲧᲐᲖᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

48. დამტკიცდეს ყაზახეთის სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

| | |
|---|---|
| ფოლადი (ათას ტონობით) | 72 |
| ქვანახშირი (მილიონ ტონობით) | 16,4 |
| ნავთი (ათას ტონობით) | 1.200 |
| ელექტროენერგია (მილიონ კილოვატ-საათობით) | 1.810 |
| სუპერფოსფატი (ათას ტონობით) | 280 |
| ბამბის ქსოვილი (ათას მეტრობით) | 19.100 |
| შალის ქსოვილი (ათას მეტრობით) | 2.880 |
| ფეხსაცმელი (ათას წყვილობით) | 6.800 |
| წინდის ნაკეთობანი (ათას წყვილობით) | 14.400 |
| თევზჭერა (ათას ტონობით) | 97,5 |
| მცენარეული ზეთი (ათას ტონობით) | 21,5 |
| ხორცი (ათას ტონობით) | 100 |
| ერბო-კარაქი (ათას ტონობით) | 19 |
| ფხვნილი შაქარი (ათას ტონობით) | 71 |

49. დამტკიცდეს კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა ყაზახეთის სს რესპუბლიკაში 1946-1950 წლებისათვის 8.800 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 737 მილიონი მანეთის რაოდენობით.

50. ამოქმედდეს ყარაგანდის ქვანახშირის აუზში 6,5 მილიონი ტონის სიმძლავრის 17 შახტი, აქტიუბინსკის საბადოში 270 ათასი ტონის სიმძლავრის 4 შახტი და 0,6 მილიონი ტონის სიმძლავრის ქვანახშირის ჭრილი ეკიბასტუზის საბადოში. უზრუნველყოფილ იქნას ელექტროსადგურების სიმძლავრეთა გადიდება 398 ათასი კილოვატით, მათ შორის ჰიდროელექტროსადგურებში 104 ათასი კილოვატით. ამოქმედდეს რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 400 ათასი ტონის სიმძლავრის ქვანახშირის შახტები.

დამთავრდეს ყაზახეთის საფოლადე თუჯის ქარხნის მშენებლობა. დაიწყოს მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა.

სპილენძის წარმოება 1950 წელს 2,6-ჯერ გადიდდეს 1940 წელთან შედარებით, ტყვიისა 1,3-ჯერ; ახლად შეიქმნას თუთიისა და ელექტროლიზური სპილენძის წარმოება. მნიშვნელოვნად გადიდდეს სპილენძის მადნის მოპოვება ჯეზკაზგანის საბადოში, განმტკიცდეს ჩიმკენტის ტყვიის ქარხნის ნედლეულის ბაზა.

აშენდეს და ამოქმედდეს ცემენტის ქარხნები 530 ათასი ტონა ცემენტის საერთო სიმძლავრისა, ყარა-ტაუს სამთამადნო კომბინატი, გაფართოვდეს მოქმედი და აშენდეს ახალი სუპერფოსფატის ქარხნები.

მოეწყოს რესპუბლიკაში სეპარატორებისა და რძის ტარის წარმოება. უზრუნველყოფილ იქნას სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის, ტყავეულის ქარხნის სრული სიმძლავრით ამოქმედება სემიპალატინსკში და სართავი ფაბრიკისა ალმა-ატაში. აშენდეს და ამოქმედდეს 8 ხორცკომბინატი და მაცივარი, 200 ერბო-კარაქის ქარხანა და 2 რძის კონსერვის ქარხანა.

დაწესდეს სამრეწველო პროდუქციის წარმოება რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში 1950 წელს 1,3 მილიარდი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქციისა 370 მილიონი მანეთის რაოდენობით.

51. მომზადდეს 1946-1950 წლებში რკინის მადნის სამრეწველო მარაგი 100 მილიონი ტონა ატასუის და კარკარალის საბადოთა ჯგუფში, სპილენძისა ჯეზკაზგანის, ირტიშის და ბოშჩეკულის საბადოებში 813 ათასი ტონა, ტყვიის, მოლიბდენის, ვოლფრამის სამქვეყანგის, ბარიტის, ფოსფორიტის სამრეწველო მარაგი ყარატაუს საბადოში, ბორატისა და თაბაშირისა. მომზადდეს შახტმშენებლობისათვის 35 მილიონი ტონა სიმძლავრის 59 უბანი, მათ შორის ყარაგანდის ქვანახშირის აუზის კოქსვადი ნახშირისათვის 23,9 მილიონი ტონა სიმძლავრისა. გადიდდეს ნავთის სამრეწველო მარაგი 1.080 ჭაბურღილ-წერტით. მომზადდეს ახალი სანედლეულო ბაზა სოდის მრეწველობისათვის.

52. დამტკიცდეს ნათესი ფართობები 1950 წლისათვის 7.286 ათასი ჰექტარის რაოდენობით, აქედან კოლმეურნეობებში 6.002 ათასი ჰექტარი, მათ შორის მარცვლეული კულტურებისა 5.336 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 4.681 ათასი ჰექტარი; ტექნიკური კულტურებისა 340 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 316 ათასი ჰექტარი; ბოსტნეულ-ბაღჩეულისა და კარტოფილისა 280 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 105 ათასი ჰექტარი; საკვები კულტურებისა 1.330 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 900 ათასი ჰექტარი. დაწესდეს ბამბის ნათესი ფართობი 85,4 ათასი ჰექტარის რაოდენობით. გადიდდეს ხარისხოვანი თამბაქოს რგვა.

პირუტყვის სულადობა 1950 წლის დამლევისათვის განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით: ცხენი 1.516 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 1.191 ათასი სული; მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი 4.400 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 2.300 ათასი სული; ცხვარი და თხა 19.050 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 15.000 ათასი სული; ღორი 392 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 202 ათასი სული.

53. უზრუნველყოფილ იქნას წყალთა მეურნეობის შემდგომი განვითარება და საირიგაციო სისტემათა გაფართოება სარწყავი მიწათმოქმედების რაიონებში და გასარეკი მეცხოველეობის რაიონების ნორმალური წყალმომარაგება.

ყარაგანდისა და ჯეზკაზგანის სამრეწველო რაიონების მრეწველობისა და დასახლებული პუნქტების წყლით უზრუნველსაყოფად გადიდდეს სამარყანდის წყალსაცავის მარგი მოცულობა მდინარე ნურაზე და აშენდეს ჯეზკაზგანის წყალსაცავი მდინარე კენგირზე.

დაიწყოს ყზილ-ორდის საგუბრისა და მარცხენა ნაპირის არხის მშენებლობა. ჩატარდეს სარწყავ სისტემათა გადაკეთება 200 ათას ჰექტარ ფართობზე და უზრუნველყოფილ იქნას სარწყავი წყლის უფრო ეკონომიური ხარჯვა.

გაჩაღდეს მცირე საირიგაციო სისტემათა მასობრივი მშენებლობა რესპუბლიკის ჩრდილოეთი და ველიანი რაიონების კოლმეურნეობებში სადაზღვევო სარწყავი ნაკვეთების შესაქმნელად, აგრეთვე მცირე წყალსაცავთა მშენებლობა გვალვიანი რაიონების მოსარწყავად.

54. უზრუნველყოფილ იქნას რკინიგზის ტრანსპორტის მნიშვნელოვანი განვითარება; 5 წლის მანძილზე ამოქმედდეს 955 კილომეტრი ახალი სარკინიგზო ხაზები და 807 კილომეტრი მეორე ლიანდაგები.

55. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის ყაზახეთის სს რესპუბლიკის ქალაქებში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 2.170 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით 45 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით.

56. დამტკიცდეს ძირითადი დავალებანი კულტურული მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში: 1950 წელს სკოლების რიცხვი აყვანილ იქნას 7.985-მდე, სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 1.130 ათასამდე და საავადმყოფოს საწოლთა რიცხვი 34 ათასამდე.

### ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

57. დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

| | |
|---|---|
| თუჯი (ათას ტონობით) | 330 |
| ფოლადი (ათას ტონობით) | 185 |
| ქვანახშირი (ათას ტონობით) | 2.400 |
| ნავთი (ათას ტონობით) | 110 |
| ელექტროენერგია (მილიონ კილოვატობით) | 1.300 |
| მარგანეცის მადანი (ათას ტონობით) | 2.040 |
| კოქსი (ათას ტონობით) | 450 |
| ავტომობილები (ათას ცალობით) | 15 |
| ლითონსაჭრელი ჩარხები (ცალობით) | 1.700 |
| ცემენტი (ათას ტონობით) | 115 |
| შალის ქსოვილი (ათას მეტრობით) | 3.795 |
| აბრეშუმის ქსოვილი (ათას მეტრობით) | 6.830 |
| ფეხსაცმელი (ათას წყვილობით) | 9.500 |
| მცენარეული ზეთი (ტონობით) | 3.500 |
| ყურძნის ღვინო (ათას დეკალიტრობით) | 1.550 |
| ჩაი — პირველადი დამუშავება (ტონობით) | 17.900 |
| ფხვნილი შაქარი (ათას ტონობით) | 13,5 |
| ხორცი (ათას ტონობით) | 14 |
| ერბო-კარაქი (ტონობით) | 1.000 |
| თევზჭერა (ტონობით) | 5.500 |

58. დამტკიცდეს კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა საქართველოს სს რესპუბლიკაში 1946-1950 წლებისათვის 4.120 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 591 მილიონი მანეთის რაოდენობით.

59. აშენდეს ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა. აშენდეს და ამოქმედდეს 3,2 მილიონი ტონის საერთო სიმძლავრის ქვანახშირის შახტები. მომზადდეს 1946-1950 წლებში ჭიათურის საბადოს მარგანეცის მადნის სამრეწველო მარაგი 30 მილიონი ტონის რაოდენობით. მომზადდეს ახალი შახტმშენებლობისათვის 6,8 მილიონი ტონის სიმძლავრის 22 ქვანახშირის უბანი და გადიდდეს ნავთის სამრეწველო მარაგი 340 ჭაბურღილ-წერტით.

აშენდეს და ამოქმედდეს ოთხი ჰიდროელექტროსადგური 169 ათასი კი-

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ 3 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ)

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები

## კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ

(გაგრძელება)

ლოვატის საერთო სიმძლავრისა და განხორციელდეს 21,5 ათასი კილოვატის სიმძლავრის მცირე ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობა.

აშენდეს ახალი ორთქლმავალვაგონ-სარემონტო ქარხანა და საავტომობილო ქარხანა.

60. მოეწყოს რესპუბლიკურ მრეწველობაში მცირე ჰიდროტურბინებისა და ჩაის და მეღვინეობის მრეწველობის მოწყობილობის წარმოება; აშენდეს საწონ-საზომი მოწყობილობის და სიმხურვალის გამძლე ჰურჭლის ქარხანა; გაფართოვდეს ჩაის გადამმუშავებელ და მეღვინეობის საწარმოთა ქსელი.

დაწესდეს სამრეწველო პროდუქციის წარმოება რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში 1950 წელს 1,1 მილიარდი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქციისა 265 მილიონი მანეთის რაოდენობით. გადიდდეს აბრეშუმის ქსოვილის წარმოება.

61. დაწესდეს ნათესი ფართობები 1950 წლისათვის 937 ათასი ჰექტარის რაოდენობით, აქედან კოლმეურნეობებში 800 ათასი ჰექტარი, მათ შორის მარცვლეული კულტურებისა 746 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 629 ათასი ჰექტარი; ტექნიკური კულტურებისა 48 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 46 ათასი ჰექტარი; ბოსტნეულ-ბაღჩეულისა და კარტოფილისა 44 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 30 ათასი ჰექტარი; საკვები კულტურებისა 99 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 95 ათასი ჰექტარი.

გადიდდეს ჩაის პლანტაციების ფართობი 57,5 ათას ჰექტარამდე, ამასთან სავსებით უზრუნველყოფილ იქნან პლანტაციები მინერალური სასუქით. გადიდდეს ციტრუსოვან და სხვა სუბტროპიკულ კულტურათა ფართობები. 1946-1950 წლებში გაშენდეს ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციები 11 ათასი ჰექტარის რაოდენობით, მათ შორის ფორთოხალი 3 ათასი ჰექტარი, ლიმონი 3 ათასი ჰექტარი. მნიშვნელოვნად განვითარდეს მეხილეობა და მევენახეობა; გადიდდეს ეთერზეთოვანი კულტურების ფართობები; უზრუნველყოფილ იქნას მეაბრეშუმეობის შემდგომი ზრდა. განვითარდეს მეთამბაქოობა საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში.

განახლდეს კოლხიდის დაბლობის ამოშრობის სამუშაოები და საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნას 20 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწები. გაფართოვდეს სარწყავი არხების ქსელი და დამთავრდეს აჯამეთის, დოლლაურის ველის, კეხვისა და დოეს-გრაკლის არხების მშენებლობა. გაჩაღდეს სამგორის სარწყავი სისტემისა და ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობის სამუშაოები.

პირუტყვის სულადობა 1950 წლის დამლევისათვის განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით: ცხენი 120 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 47 ათასი სული; მსხვილფეხა რქიანი საქონელი 1.744 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 730 ათასი სული; ცხვარი და თხა 2.900 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 1.800 ათასი სული; ღორი 711 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 91 ათასი სული.

62. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის ქალაქებში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 732 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით 35 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით. აშენდეს და გაფართოვდეს წყალსადენი თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. დამთავრდეს ბულაჩაურის წყალსადენის მშენებლობა.

63. 1950 წელს სკოლების რიცხვი აყვანილ იქნას 4.333-მდე, სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 642 ათასამდე და ქალაქებსა და სოფელ ადგილებში საავადმყოფოს საწოლთა რიცხვი 17.900-მდე. აღდგენილ იქნას საქართველოს სს რესპუბლიკის საკურორტო მეურნეობა.

### აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში

64. დამტკიცდეს აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

| | |
|---|---|
| ფოლადი (ათას ტონობით) | 178 |
| ნავთი (ათას ტონობით) | 17.000 |
| ელექტროენერგია (მილიონ კილოვატ-საათობით) | 2.590 |
| ელექტრომოტორები ას კილოვატზე მეტი სიმძლავრისა (ცალობით) | 800 |
| ცემენტი (ათას ტონობით) | 365 |
| ბამბის ქსოვილი (ათას მეტრობით) | 57.250 |
| შალის ქსოვილი (ათას მეტრობით) | 1.155 |
| აბრეშუმის ქსოვილი (ათას მეტრობით) | 2.345 |
| წინდის ნაკეთობანი (ათას წყვილობით) | 26.250 |
| ფეხსაცმელი (ათას წყვილობით) | 5.150 |
| მცენარეული ზეთი (ათას ტონობით) | 11 |
| მარილი (ათას ტონობით) | 132 |
| ყურძნის ღვინო (ათას დეკალიტრობით) | 1.400 |
| ხორცი (ათას ტონობით) | 16 |
| ერბო-კარაქი (ტონობით) | 1.500 |
| თევზჭერა (ათას ტონობით) | 23,9 |

65. დამტკიცდეს კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში 1946-1950 წლებისათვის 5.900 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 579 მილიონი მანეთის რაოდენობით.

66. ფართოდ გაჩაღდეს საექსპლოატაციო და საძიებო ბურღვა რესპუბლიკის ნავთის რაიონებში. მომზადდეს 1946-1950 წლებში ნავთის სამრეწველო მარაგი 2.660 ჰაბურღილ-წერტისათვის და ჩატარდეს ნავთის ახალი მაღალდებიტიანი ჰორიზონტების ძიება ბაქოს, კიროვაბადის და მტკვრის პირა რაიონებში. აშენდეს მილსაგლინავი ქარხანა და დამთავრდეს ნავთის მანქანათმშენებლობის ქარხნების რეკონსტრუქცია.

ამოქმედდეს დაშქესანის რკინის მადნის საბადოს სამადნეები და ზაგლიკის ალუნიტთა საბადოს სამადნოები.

67. გაფართოვდეს თბოელექტროსადგურთა სიმძლავრეები ბაქოს რაიონში 195 ათასი კილოვატით. ბაქოს ნავთის მრეწველობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის, ამიერკავკასიაში მარცვლეულის ბაზის შესაქმნელად და მებამბეობის განსავითარებლად სარწყავი ფართობების გადიდების მიზნით გაჩაღდეს მინგეჩაურის ჰიდროკვანძის მშენებლობა და 1950 წელს ამოქმედდეს პირველი რიგი.

68. რესპუბლიკური მეურნეობის ხაზით აშენდეს და ამოქმედდეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ქარხანა, ავტოსარემონტო ქარხანა, ქაშანურის ჰურჭლის, მინის ნაწარმის ქარხნები, აგურ-კრამიტის ქარხნები, თაბაშირის და თაბაშირის სამშენებლო დეტალებისა და სამშენებლო ქაშანურის ქარხანა.

დაწესდეს სამრეწველო პროდუქციის წარმოება რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში 1950 წელს 1,1 მილიარდი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქციისა 255 მილიონი მანეთის რაოდენობით.

69. დაწესდეს ნათესი ფართობები 1950 წლისათვის 1.216 ათასი ჰექტარის რაოდენობით, აქედან კოლმეურნეობებში 1.152 ათასი ჰექტარი, მათ შორის მარცვლეული კულტურებისა 825 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 790 ათასი ჰექტარი; ტექნიკური კულტურებისა 184 ათასი ჰექტარი, მათ შორის ბამბისა 155 ათასი ჰექტარი; ბოსტნეულ-ბაღჩეულისა და კარტოფილისა 54 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 45 ათასი ჰექტარი და საკვები კულტურებისა 153 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 140 ათასი ჰექტარი.

გაჩაღდეს მუღანის, შირვანისა და მილ-ყარაბაღის ველების მორწყვის და სასოფლო-სამეურნეო ათვისების სამუშაოები და 1946-1950 წლებში ათვისებულ იქნას 112 ათასი ჰექტარი ახალი სარწყავი მიწები.

გაფართოვდეს ბოსტნეულისა და კარტოფილის ნათესები და მრავალწლიანი ნარგავები ბაქოს საგარეუბნო ზონის რაიონებში. უზრუნველყოფილ იქნას სტალინის სახელობის სამურ-დივიჩის არხის ზონაში ახალი სარწყავი მიწების მატება: გადიდდეს ხეხილის ბაღებისა და ვენახების, აგრეთვე სუბტროპიკული კულტურების ფართობები ლენქორანის რაიონში. განვითარდეს მეაბრეშუმეობა. გადიდდეს ჩაისა და თამბაქოს ფართობები და მოსავალი.

1950 წლის დამლევისათვის პირუტყვის სულადობა განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით: ცხენი 131 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 95 ათასი სული; მსხვილფეხა რქიანი საქონელი 1.370 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 710 ათასი სული; ცხვარი და თხა 4.140 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 2.650 ათასი სული და ღორი 88 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 38 ათასი სული.

70. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის ქალაქებში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 610 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით 26 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით. დამთავრდეს ბაქოს მეორე წყალსადენისა და კიროვაბადის წყალსადენის მშენებლობა.

71. დამტკიცდეს ძირითადი დავალებანი კულტურული მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში: 1950 წელს სკოლების რიცხვი აყვანილ იქნას 3.359-მდე, სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 569 ათასამდე და ქალაქებისა და სოფელ ადგილების საავადმყოფოს საწოლთა რიცხვი 16.600-მდე.

### ლიტვის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში

72. დამტკიცდეს ლიტვის სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

| | |
|---|---|
| ელექტროენერგია (მილიონ კილოვატ-საათობით) | 190 |
| ტორფი (ათას ტონობით) | 822 |
| ფანჯრის მინა (ათას კვადრატულ მეტრობით) | 700 |
| მერქნის გამოზიდვა (ათას კუბმეტრობით) | 3.000 |
| ქაღალდი (ათას ტონობით) | 17 |
| ერბო-კარაქი (ათას ტონობით) | 12 |
| ხორცი (ათას ტონობით) | 28 |
| ფხვნილი შაქარი (ათას ტონობით) | 25 |
| სპირტი (ათას დეკალიტრობით) | 500 |
| თევზჭერა (ათას ტონობით) | 15 |

73. დამტკიცდეს კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა ლიტვის სს რესპუბლიკაში 1946-1950 წლებისათვის 1.535 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 660 მილიონი მანეთის რაოდენობით.

74. აღდგენილ იქნას და მოეწყოს ახალი ტორფსაწარმოები; უზრუნველყოფილ იქნას ტორფის მოპოვების მექანიზაცია. 1946-1950 წლებში აღდგენილ და ამუშავებულ იქნას 83 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის ელექტროსადგურები. აღდგენილ იქნას და ამუშავდეს ლითონის ნაწარმის ქარხანა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ქარხანა, ცემენტის ქარხანა, შალეული ქსოვილის ფაბრიკები, სართავი კომბინატი, ტყავეულის ქარხანა, ხორცკომბინატები და მაცივრები და 1946-1947 წლებში მთლიანად აღდგენილ იქნას ერბო-კარაქისა და ყველის ქარხნები.

რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1950 წელს გათვალისწინებულ იქნას 600 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქცია 125 მილიონი მანეთის რაოდენობით.

75. დაწესდეს ნათესი ფართობები ლიტვის სს რესპუბლიკაში 1950 წლისათვის 2,5 მილიონი ჰექტარის რაოდენობით, მათ შორის: მარცვლეული კულტურებისა 1,6 მილიონი ჰექტარი, ტექნიკური კულტურებისა 122 ათასი ჰექტარი, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და კარტოფილისა 234 ათასი ჰექტარი და საკვები კულტურებისა 550 ათასი ჰექტარი.

1950 წლისათვის პირუტყვის სულადობა განსაზღვრულ იქნას შემდეგი რაოდენობით: ცხენი 490 ათასი სული, მსხვილფეხა რქიანი საქონელი 1.055 ათასი სული, ცხვარი და თხა 630 ათასი სული, ღორი 1.100 ათასი სული.

76. დამტკიცდეს ძირითადი დავალებანი კულტურული მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში: 1950 წელს სკოლების რიცხვი აყვანილ იქნას 3.369-მდე, მათში მოსწავლეთა რიცხვი 390 ათასამდე და საავადმყოფოს საწოლთა რაოდენობა 9 ათასამდე.

77. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა ლიტვის სსრ ქალაქებში 697 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით 300 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით. განხორციელებულ იქნას სამუშაოები ოკუპანტებისაგან დანგრეული ქალაქების: ვილნიუსის, კაუნასის, კლაიპედის, შაულიაის, პანევეჟისის საბინაო და კომუნალური მეურნეობის აღსადგენად.

### მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში

78. დამტკიცდეს მოლდავეთის სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

| | |
|---|---|
| ელექტროენერგია (მილიონ კილოვატ-საათობით) | 60 |
| მერქნის გამოზიდვა (ათას კუბმეტრობით) | 70 |
| ფეხსაცმელი (ათას წყვილობით) | 1.450 |
| წინდის ნაკეთობანი (ათას წყვილობით) | 7.830 |
| ყურძნის ღვინო (მილიონ დეკალიტრობით) | 3 |
| კონსერვები (მილიონ პირობითი ქილობით) | 65 |
| მცენარეული ზეთი (ათას ტონობით) | 25 |
| ერბო-კარაქი (ტონობით) | 1.100 |
| ხორცი (ათას ტონობით) | 10,5 |
| ფხვნილი შაქარი (ათას ტონობით) | 14 |
| თევზჭერა (ტონობით) | 1.500 |

79. დამტკიცდეს კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა მოლდავეთის სს რესპუბლიკაში 1946-1950 წლებისათვის 1.245 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 473 მილიონი მანეთის რაოდენობით.

80. მოეწყოს ქვანახშირის, ნავთისა და ადგილობრივი სამშენებლო მასალების საკვლევი და საძიებო სამუშაოები. 1946-1950 წლებში გამოკვლეულ იქნას თაბაშირის სამრეწველო მარაგი 1,5 მილიონი ტონის რაოდენობით.

აღდგენილ იქნას 4 ათასი კილოვატის სიმძლავრის თბოელსადგური და აგებულ იქნას 6 ათასი კილოვატის სიმძლავრის ახალი ელექტროსადგური. აშენდეს 4 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრის მცირე ჰიდროელსადგურები, ამუშავებულ იქნას ცემენტის ქარხანა 100 ათასი ტონა ცემენტის გამოსამუშავებლად, აგურის ქარხნები 18,2 მილიონი ცალი აგურის დასამზადებლად, თაბაშირის ქარხანა 10 ათასი ტონა თაბაშირის დასამზადებლად და მექანიკური ქარხნები.

81. აღდგენილ და გაფართოებულ იქნას საკონსერვო მრეწველობა და ხმელი ხილის წარმოება; მთლიანად აღდგენილ იქნას რიბნიცის შაქრის ქარხანა, აღდგენილ იქნას 26 და ახლად აგებულ იქნას 4 ღვინის ქარხანა წლიურად 4 მილიონი დეკალიტრი ღვინის საერთო გამომუშავებით. მოეწყოს ღვინოების სამრეწველო დამუშავების საკუთარი ბაზა, რისთვისაც აშენდეს შამპანური ღვინოების ქარხანა, კონიაკის ქარხანა და სუფრის ღვინოების ქარხანა. აშენდეს ქარხანა მინის ტარის დასამზადებლად და აღდგენილ იქნას ხის ტარის ქარხანა ტირასპოლში.

დაწესდეს რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1950 წელს 400 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქცია 1950 წლისათვის 113 მილიონი მანეთის რაოდენობით.

82. მოყვანილ იქნას სანაოსნო მდგომარეობაში მდინარე დნესტრი და აგებულ იქნას გემთსაშენი ვერფები ადგილობრივი თვითმავალი და არათვითმავალი ფლოტის ასაგებად.

83. დაწესდეს მოლდავეთის სს რესპუბლიკაში 1950 წლისათვის ნათესი ფართობები 2.020 ათასი ჰექტარის რაოდენობით, მათ შორის მარცვლეული კულტურებისა 1.535 ათასი ჰექტარი, ტექნიკური კულტურებისა 273 ათასი ჰექტარი, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და კარტოფილისა 82 ათასი ჰექტარი, საკვები კულტურებისა 130 ათასი ჰექტარი.

განსაზღვრულ იქნას პირუტყვის სულადობა 1950 წლის ბოლოსათვის შემდეგი რაოდენობით: ცხენი 230 ათასი სული, მსხვილფეხა რქიანი საქონელი 700 ათასი სული, ცხვარი და თხა 1.600 ათასი სული, ღორი 380 ათასი სული.

აღდგენილ იქნას ხეხილ-კენკრის ნარგავები და ვენახები, მოეწყოს ხეხილისა და ვენახის სანერგეთა ქსელი. აღდგენილ იქნას კარაგაშის საირიგაციო სისტემა.

84. დამტკიცდეს ძირითადი დავალებანი კულტურული მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში: 1950 წელს სკოლების რიცხვი გადიდებულ იქნას 1.920-მდე, სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 422 ათასამდე, საავადმყოფოს საწოლთა რიცხვი 9.600-მდე.

85. ჩატარდეს სამუშაოები ოკუპანტების მიერ დანგრეული ქალაქების, პირველ რიგში კიშინიოვის, ტირასპოლის საბინაო და კომუნალური მეურნეობის აღსადგენად. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის მოლდავეთის სს რესპუბლიკის ქალაქებში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 498 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით 175 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით.

### ლატვიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში

86. დამტკიცდეს ლატვიის სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

| | |
|---|---|
| ელექტროენერგია (მილიონ კილოვატ-საათობით) | 275 |
| ტორფი (ათას ტონობით) | 564 |
| ქაღალდი (ათას ტონობით) | 34 |
| მერქნის გამოზიდვა (ათას კუბმეტრობით) | 4.500 |
| ფანჯრის მინა (ათას კვ. მეტრობით) | 900 |
| ცემენტი (ათას ტონობით) | 270 |
| ბამბის ქსოვილი (მილიონ მეტრობით) | 25 |
| ფეხსაცმელი (ათას წყვილობით) | 1.660 |
| ერბო-კარაქი (ათას ტონობით) | 18 |
| ხორცი (ათას ტონობით) | 28 |
| ფხვნილი შაქარი (ათას ტონობით) | 34 |
| სპირტი (ათას დეკალიტრობით) | 1.700 |
| თევზჭერა (ტონობით) | 20.000 |

87. დამტკიცდეს ლატვიის სს რესპუბლიკაში კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 1946-1950 წლებისათვის 2.050 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 668 მილიონი მანეთის რაოდენობით.

88. აღდგენილ იქნას და მოეწყოს ახალი ტორფსაწარმოები და აშენდეს ტორფბრიკეტის ქარხნები წლიურად 70 ათასი ტონა ბრიკეტის საერთო სიმძლავრისა.

აღდგენილ და ამუშავებულ იქნას 82 ათასი კილოვატის სიმძლავრის ელექტროსადგურები.

89. აღდგენილ და ამუშავებულ იქნას ვაგონთმშენებელი და გემთმშენებელი ქარხნები, ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა, ქარხანა „კრასნი მეტალურგი", ცემენტის ქარხნები, სელსართავი ფაბრიკა, სუპერფოსფატის ქარხანა, ხორცკომბინატები, მაცივრები, რძის, ერბო-კარაქისა და ყველის ქარხნები.

დაწესდეს რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1950 წელს 870 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქცია 272 მილიონი მანეთის რაოდენობით.

ფართოდ განვითარდეს ქარსალისა და ჰიჭყინას კონსერვის დამზადება და 1948 წელს მისი გამომუშავება აყვანილ იქნას ომამდელ დონემდე. მოეწყოს აქტიური სარეწი ბალტიის ზღვაში ქაშაყისა და ვირთევზას საჭერად.

90. დაწესდეს ლატვიის სს რესპუბლიკაში ნათესი ფართობები 1950 წლისათვის 1.966 ათასი ჰექტარის რაოდენობით, მათ შორის მარცვლეული კულტურებისა 1.105 ათასი ჰექტარი, ტექნიკური კულტურებისა 66 ათასი ჰექტარი, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და კარტოფილისა 155 ათასი ჰექტარი და საკვები კულტურებისა 640 ათასი ჰექტარი.

განისაზღვროს პირუტყვის სულადობა 1950 წლისათვის შემდეგი რაოდენობით: ცხენი 405 ათასი სული, მსხვილფეხა რქიანი საქონელი 1.140 ათასი სული, ცხვარი და თხა 620 ათასი სული, ღორი 600 ათასი სული.

91. დამტკიცდეს ძირითადი დავალებანი კულტურული მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში: 1950 წელს სკოლების რიცხვი აყვანილ იქნას 1.598-მდე, სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 275 ათასამდე და საავადმყოფოს საწოლთა რიცხვი 11.800-მდე.

92. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის ლატვიის სს რესპუბლიკის ქალაქებში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 720 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით 300 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით.

ჩატარდეს სამუშაოები ოკუპანტების მიერ დანგრეული ქალაქების რიგის, ვენტსპილსის, ელგავის, ლეპაიის საბინაო და კომუნალური მეურნეობის აღსადგენად.

### ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში

93. დამტკიცდეს ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

| | |
|---|---|
| ქვანახშირი (ათას ტონობით) | 1.600 |
| ნავთი (ათას ტონობით) | 80 |
| ელექტროენერგია (მილიონ კილოვატ-საათობით) | 180 |
| ბამბის ქსოვილი (ათას მეტრობით) | 690 |
| აბრეშუმის ქსოვილი (ათას მეტრობით) | 920 |
| შალის ქსოვილი (ათას მეტრობით) | 500 |
| წინდის ნაკეთობანი (ათას წყვილობით) | 3.550 |
| ფეხსაცმელი (ათას წყვილობით) | 920 |
| შაქარი (ათას ტონობით) | 75 |
| ხორცი (ათას ტონობით) | 17 |
| ერბო-კარაქი (ათას ტონობით) | 1,4 |

94. დამტკიცდეს ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 1946-1950 წლებისათვის 1.200 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 337 მილიონი მანეთის რაოდენობით.

95. აშენდეს და ამუშავდეს 38 ათასი კილოვატის სიმძლავრის ელექტროსადგურები, 825 ათასი ტონა ქვანახშირის სიმძლავრის შახტები; აშენდეს და ამუშავდეს ბამბის საწმენდი ქარხანა 10 ათასი ტონა ბოჭკოს დასამზადებლად, აშენდეს ტომრისა და სართავი ფაბრიკები, 30 ათასი ტონა ცემენტის სიმძლავრის ცემენტის ქარხანა და ხორცკომბინატი. დამთავრდეს კანტ-რიბაჩიეს რკინიგზის მშენებლობა. რესპუბლიკურ მეურნეობაში ამუშავებულ იქნას 12 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები და 125 ათასი ტონა სიმძლავრის ქვანახშირის შახტები.

გათვალისწინებულ იქნას 1950 წლისათვის რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 360 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქცია 75 მილიონი მანეთის რაოდენობით.

96. მომზადებულ იქნას 1946-1950 წლებისათვის 5,5 მილიონი ტონა საერთო სიმძლავრის 20 ქვანახშირის უბანი; გამოკვლეულ იქნას ტყვიის, ვერცხლისწყლის, სურმის, თვითნაბადი გოგირდისა და თაბაშირის სამრეწველო მარაგი.

97. დაწესდეს ნათესი ფართობები 1950 წლისათვის 1.102 ათასი ჰექტარის რაოდენობით, აქედან კოლმეურნეობებში 949 ათასი ჰექტარი, მათ შორის მარცვლეული კულტურებისა 704 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 620 ათასი ჰექტარი: ტექნიკური კულტურებისა 108 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 99 ათასი ჰექტარი; ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების და კარტოფილისა 36 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 20 ათასი ჰექტარი; საკვები კულტურებისა 254 ათასი ჰექტარი, მათ შორის კოლმეურნეობებში 210 ათასი ჰექტარი; ბამბისა 53 ათასი ჰექტარი. გაფართოვდეს ხარისხოვანი თამბაქოს ნათესები და ვენახის ნარგავები.

პირუტყვის სულადობა 1950 წლის ბოლოსათვის განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით: ცხენი 490 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 430 ათასი სული; მსხვილფეხა რქიანი საქონელი 560 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 260 ათასი სული; ცხვარი და თხა 4,3 მილიონი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 3,3 მილიონი სული; ღორი 60 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 20 ათასი სული.

დამთავრდეს კრასნორეჩენსკის სარწყავი სისტემის გადაკეთება. ჩატარდეს მუშაობა ოთუზ-ადირის მიწების მოსარწყავად. გაჩაღდეს ორტა-ტოკოის წყალსაცავისა და დიდი ჩუის არხის მშენებლობა. უზრუნველყოფილ იქნას 1946-1950 წლებისათვის სარწყავი ფართობების 22 ათასი ჰექტარით გადიდება.

98. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის ყირგიზეთის სსრ ქალაქებში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 215 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით 25 ათასი კვ. მეტრისა; დამთავრდეს მშენებლობა და ამუშავდეს წყალსადენი, კანალიზაცია და ტროლეიბუსის ხაზი ქალაქ ფრუნზეში.

99. დამტკიცდეს ძირითადი დავალებანი კულტურული მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში: 1950 წელს სკოლების რიცხვი აყვანილ იქნას 1.585-მდე, მათში მოსწავლეთა რიცხვი 278 ათასამდე და საავადმყოფოს საწოლთა რიცხვი 7.200-მდე.

### ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში

100. დამტკიცდეს ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

| | |
|---|---|
| ქვანახშირი (ათას ტონობით) | 440 |
| ნავთი (ათას ტონობით) | 60 |
| ელექტროენერგია (მილიონ კილოვატ-საათობით) | 180 |
| ცემენტი (ათას ტონობით) | 15 |
| ბამბის ქსოვილი (ათას მეტრობით) | 17.800 |
| აბრეშუმის ქსოვილი (ათას მეტრობით) | 5.100 |
| წინდის ნაკეთობანი (ათას წყვილობით) | 4.140 |
| ფეხსაცმელი (ათას წყვილობით) | 1.370 |
| მცენარეული ზეთი (ათას ტონობით) | 10 |
| ხორცი (ათას ტონობით) | 8,3 |

101. დამტკიცდეს ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 1946-1950 წლებისათვის 1.200 მილიონი მანეთის რაოდე-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები

## კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ

(დასასრული)

ნობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 318 მილიონი მანეთის რაოდენობით.

102. აშენდეს და ამუშავდეს 28 ათასი კილოვატის სიმძლავრის ელექტროსადგურები, მათ შორის 24 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები. გაფართოვდეს ბამბეულის კომბინატის სიმძლავრე სტალინაბადში 18,5 ათასი სართავი თითისტარით, აშენდეს და ამუშავდეს ორი ერბო-კარაქის ქარხანა, მექანიკური ქარხნები, დამთავრდეს მდნობი შპატის კომბინატის მშენებლობა, დაიწყოს ტყვია-თუთიის სამადნოს მშენებლობა.

ამუშავდეს რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 100 ათასი ტონა სიმძლავრის ქვანახშირის შახტი და ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა ზიდის ქვანახშირის საბადოსაკენ. ამუშავდეს 12 ათასი სართავი თითისტარი, ფანჯრის მინის ქარხანა.

დაწესდეს 1950 წლისათვის რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 450 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქცია 83 მილიონი მანეთის რაოდენობით. მნიშვნელოვნად გადიდდეს ხმელი ხილის გამოშვება.

103. მომზადდეს 1946-1950 წლებისათვის ტყვიის, სამქვეყანგი ვოლფრამის სამრეწველო მარაგი და ჩატარდეს ქვანახშირის, ვოლფრამის, სურმისა და ვერცხლისწყლის ახალი საბადოების ფართო კვლევა-ძიება.

104. დაწესდეს ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში ნათესი ფართობები 1950 წლისათვის 935 ათასი ჰექტარის რაოდენობით, აქედან კოლმეურნეობებში 896 ათასი ჰექტარი, მათ შორის მარცვლეული კულტურებისა 633 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 615 ათასი ჰექტარი; ტექნიკური კულტურებისა 181 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 176 ათასი ჰექტარი; ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და კარტოფილისა 29 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 20 ათასი ჰექტარი; საკვები კულტურებისა 92 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 85 ათასი ჰექტარი. დაწესდეს ბამბის ნათესი ფართობი 107 ათასი ჰექტარის რაოდენობით, უზრუნველყოფილ იქნას გრძელბოჭკოვანი ჯიშების ბამბის ნათესთა ყოველმხრივი განვითარება.

დამთავრდეს საირიგაციო სამუშაოები ვახშის ველის მოსარწყავად, საირიგაციო სისტემების გადაკეთება გისარის ველზე და კოლექტორების კანიბადამის რაიონში. უზრუნველყოფილ იქნას ხუთწლედში სარწყავი ფართობების 17,8 ათასი ჰექტარით გადიდება.

პირუტყვის სულადობა 1950 წლის ბოლოსათვის განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით: ცხენი 177 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 130 ათასი სული; მსხვილფეხა რქიანი საქონელი 710 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 280 ათასი სული; ცხვარი და თხა 3.630 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 2 მილიონი სული.

105. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის ტაჯიკეთის სსრ ქალაქებში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 291 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით 32 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით. აშენდეს წყალსადენები ლენინაბადსა და ხოროგში. ამუშავდეს ტროლეიბუსი სტალინაბადში.

106. დამტკიცდეს ძირითადი დავალებანი კულტურის მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში: 1950 წელს სკოლათა რიცხვი აყვანილ იქნას 3.123-მდე, სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 301 ათასამდე და საავადმყოფოს საწოლთა რიცხვი 7.300-მდე.

### სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში

107. დამტკიცდეს სომხეთის სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

| | |
|---|---|
| ელექტროენერგია (მილიონ კილოვატ-საათობით) | 860 |
| ავტომანქანები (ათას ცალობით) | 180 |
| სუპერფოსფატი (ათას ტონობით) | 15 |
| კაუსტიკური სოდა (ათას ტონობით) | 12 |
| ლითონსაჭრელი ჩარხები (ცალობით) | 500 |
| ცემენტი (ათას ტონობით) | 120 |
| ფანჯრის მინა (ათას კვ. მეტრობით) | 300 |
| ბამბის ქსოვილი (ათას მეტრობით) | 44.800 |
| აბრეშუმის ქსოვილი (ათას მეტრობით) | 2.600 |
| შალის ქსოვილი (ათას მეტრობით) | 400 |
| წინდის ნაკეთობანი (ათას წყვილობით) | 15.400 |
| ფეხსაცმელი (ათას წყვილობით) | 2.550 |
| მცენარეული ზეთი (ტონობით) | 2.550 |
| შაქარი (ტონობით) | 6.500 |
| ყურძნის ღვინო (ათას დეკალიტრობით) | 2.000 |
| ხორცი (ათას ტონობით) | 8.4 |
| ერბო-კარაქი (ტონობით) | 800 |

108. დამტკიცდეს სომხეთის სს რესპუბლიკაში კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 1946-1950 წლებში 1.420 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 374 მილიონი მანეთის რაოდენობით.

109. ხუთწლედში ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრე გადიდდეს 102 ათასი კილოვატით, მოქმედი ჰიდროსადგურების გაფართოებით და მდინარე ზანგაზე ახალი ჰიდროსადგურის პირველი რიგის ამუშავებით. აშენდეს და ამუშავდეს კაბელის ქარხანა და წვრილი ჰიდროტურბინების ქარხანა წელიწადში 300 ტურბინის გამოშვებით.

უზრუნველყოფილ იქნას კაჯარანის სპილენძ-მოლიბდენის მადნების მოპოვება და გაუხვება, მოეწყოს ალუმინის წარმოება, ერთიოთხად გადიდდეს სინთეზური კაუჩუკის წარმოება და ერთიორად სოდის წარმოება, მნიშვნელოვნად გაფართოვდეს ავტომანქანების წარმოება.

დამთავრდეს მაუდის ფაბრიკის მშენებლობა ერევანში და სათეთრეულ-სამოსელო ფაბრიკისა ლენინაკანის საფეიქრო კომბინატთან. დამთავრდეს შაქრის ქარხნის მშენებლობა, აშენდეს მინის ტარის ქარხანა, გაფართოვდეს საკონსერვო ქარხანა. გადიდდეს ხილის კონსერვის წარმოება, ყურძნის ღვინოების დამზადება, აშენდეს კონიაკის ახალი ქარხანა.

რესპუბლიკურ მრეწველობაში მოეწყოს სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ინვენტარის წარმოება. აშენდეს ლითონისა და შუშის ჭურჭლის ქარხნები, ქაშანურის ქარხანა და სარემონტო-მექანიკური ქარხანა.

დაწესდეს რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1950 წლისათვის 700 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქციისა 160 მილიონი მანეთის რაოდენობით.

110. დაწესდეს ნათესი ფართობები 1950 წლისათვის 512 ათასი ჰექტარის რაოდენობით, აქედან კოლმეურნეობებში 480 ათასი ჰექტარი, მათ შორის: მარცვლეული კულტურებისა 332 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 315 ათასი ჰექტარი; ტექნიკური კულტურებისა 40 ათასი ჰექტარი; ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და კარტოფილისა 41,5 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 30 ათასი ჰექტარი; პირუტყვის საკვები კულტურებისა 98 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 95 ათასი ჰექტარი. დაწესდეს ბამბის ნათესი ფართობები 15 ათასი ჰექტარის რაოდენობით. გადიდდეს მრავალწლიან ნარგავთა ფართობი. განვითარდეს შაქრის ჭარხლის წარმოება და მეაბრეშუმეობა. გადიდდეს თამბაქოს ნათესი ფართობები და მისი მოსავლიანობა.

საექსპლოატაციოდ გადაეცეს სარწყავი არხები: სტალინის სახელობისა, ნორკისა, ქვემო ზანგისა, გარნისისა. განხორციელდეს სამუშაოები არაზდაიანის ველის მოსარწყავად. უზრუნველყოფილ იქნას 1946-1950 წლების განმავლობაში სარწყავი ფართობების გადიდება 23,5 ათასი ჰექტარით.

1950 წლის ბოლოსათვის პირუტყვის სულადობა განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით: ცხენი 32,5 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 28 ათასი სული; მსხვილფეხა რქიანი საქონელი 670 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 350 ათასი სული; ცხვარი და თხა 1.680 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 1.100 ათასი სული; ღორი 80 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 48 ათასი სული. გაუმჯობესდეს პროდუქტიული პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა და გაფართოვდეს წმინდაბეწვიანი ცხვრის მოშენება.

111. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის სომხეთის სს რესპუბლიკის ქალაქებში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 284 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით 34 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით. აშენდეს ახალი წყალსადენი, გაფართოვდეს კანალიზაცია და 15 კილომეტრით გაგრძელდეს ტრამვაის ხაზი ერევანში; გაფართოვდეს წყალსადენი ლენინაკანში.

112. დამტკიცდეს ძირითადი დავალებანი კულტურული მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში: 1950 წელს სკოლების რიცხვი აყვანილ იქნას 1.178-მდე, სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 295 ათასამდე და საავადმყოფოს საწოლთა რიცხვი ქალაქებსა და სოფელ ადგილებში 6.700-მდე.

### თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში

113. დამტკიცდეს თურქმენეთის სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

| | |
|---|---|
| ქვანახშირი (ათას ტონობით) | 60 |
| ნავთი (ათას ტონობით) | 1.104 |
| ელექტროენერგია (მილიონ კილოვატ-საათობით) | 150 |
| სუპერფოსფატი (ათას ტონობით) | 50 |
| ცემენტი (ათას ტონობით) | 40 |
| ფანჯრის მინა (ათას კვ. მეტრობით) | 2.000 |
| ბამბის ქსოვილი (მილიონ მეტრობით) | 22 |
| შალის ქსოვილი (ათას მეტრობით) | 820 |
| აბრეშუმის ქსოვილი (ათას მეტრობით) | 825 |
| წინდის ნაკეთობანი (ათას წყვილობით) | 3.100 |
| ფეხსაცმელი (ათას წყვილობით) | 1.470 |
| ხორცის კონსერვი (მილიონ პირობითი ქილობით) | 4 |
| ხორცი (ათას ტონობით) | 7 |
| ერბო-კარაქი (ტონობით) | 400 |
| მცენარეული ზეთი (ათას ტონობით) | 20 |
| მარილი (ათას ტონობით) | 160 |

114. დამტკიცდეს თურქმენეთის სს რესპუბლიკაში კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 1946-1950 წლებისათვის 1.600 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 359 მილიონი მანეთის რაოდენობით.

115. ამუშავდეს 33 ათასი კილოვატის სიმძლავრის ელექტროსადგურები, მათ შორის 8 ათასი კილოვატის სიმძლავრის ორთქლტურბინის ელექტროსადგური და 4 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრის პატარა ჰიდროსადგურები.

აშენდეს და ამუშავდეს ნავთსადენი, სუპერფოსფატის ქარხანა ყარატაუს ფოსფორიტების ბაზაზე. აშენდეს და ამუშავდეს აშხაბადის საფეიქრო ფაბრიკის მეორე რიგი და 50 ათასი ტონა სიმძლავრის ცემენტის ქარხანა.

რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში ამუშავდეს 11,7 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის ელექტროსადგურები, 50 ათასი ტონა სიმძლავრის ქვანახშირის შახტები, სართავი თითისტარები ბამბის მრეწველობაში 22 ათასი ცალის რაოდენობით, 4 ათასი სართავი თითისტარის სიმძლავრის მაუდის ფაბრიკა, 2,2 მილიონი პირობითი ქილის სიმძლავრის ბოსტნეულის საკონსერვო ქარხანა.

დაწესდეს 1950 წლისათვის რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 490 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქცია 102 მილიონი მანეთის რაოდენობით.

116. 1946-1950 წლებში მომზადდეს და გადიდდეს ნავთის სამრეწველო მარაგი 495 ჭაბურღილ-წერტით, თვითნაბადი გოგირდისა გაურდაკის საბადოში 130 ათასი ტონით და გამოკვლეულ იქნას ოზოკერიტის საბადო.

117. დაწესდეს ნათესი ფართობები თურქმენეთის სს რესპუბლიკაში 1950 წლისათვის 443 ათასი ჰექტარის რაოდენობით, აქედან კოლმეურნეობებში 409 ათასი ჰექტარი, მათ შორის მარცვლეული კულტურებისა 158 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 138 ათასი ჰექტარი; ტექნიკური კულტურებისა 161 ათასი ჰექტარი, მათ შორის ბამბისა 145 ათასი ჰექტარი; ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და კარტოფილისა 29 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 18 ათასი ჰექტარი; საკვები კულტურებისა 95 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 92 ათასი ჰექტარი.

დამთავრდეს სამუშაოები მდინარეების მურგაბისა და თეჯენის აუზების მიწის მასივების მოსარწყავად. უზრუნველყოფილ იქნას სარწყავი მიწების გადიდება 15 ათასი ჰექტარით და ჩატარდეს ღონისძიებანი მყარი წყალმომარაგების შესაქმნელად 20 ათას ჰექტარ ფართობზე.

1950 წლის ბოლოსათვის პირუტყვის სულადობა განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით: ცხენი 64 ათასი სული, აქედან კოლმეურნეობებში 54 ათასი სული; მსხვილფეხა რქიანი საქონელი 305 ათასი სული, აქედან კოლმეურნეობებში 145 ათასი სული; ცხვარი და თხა 4.330 ათასი სული, აქედან კოლმეურნეობებში 2.900 ათასი სული, უზრუნველყოფილ იქნას მეკრაველეობის შემდგომი აღმავლობა.

118. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის თურქმენეთის სსრ ქალაქებში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 310 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით 32 ათასი კვადრატული მეტრი. გაფართოვდეს წყალსადენი, ამუშავდეს კანალიზაციის პირველი რიგი და ტროლეიბუსი აშხაბადში.

119. დამტკიცდეს ძირითადი დავალებანი კულტურული მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში: 1950 წელს სკოლების რიცხვი აყვანილ იქნას 1.102-მდე, სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 203 ათასამდე და საავადმყოფოს საწოლთა რიცხვი 8 ათასამდე.

### ესტონეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში

120. დამტკიცდეს ესტონეთის სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

| | |
|---|---|
| ელექტროენერგია (მილიონ კილოვატ-საათობით) | 395 |
| ფიქალი (ათას ტონობით) | 8.410 |
| ტორფი (ათას ტონობით) | 319 |
| ქაღალდი (ათას ტონობით) | 35 |
| მერქნის გამოზიდვა (ათას კუბმეტრობით) | 2.050 |
| ცემენტი (ათას ტონობით) | 160 |
| ფანჯრის მინა (ათას კვ. მეტრობით) | 1.400 |
| ბამბის ქსოვილი (ათას მეტრობით) | 121.400 |
| ერბო-კარაქი (ტონობით) | 9.000 |
| ხორცი (ათას ტონობით) | 20 |
| სპირტი (ათას დეკალიტრობით) | 600 |
| თევზჭერა (ტონობით) | 20.000 |

121. დამტკიცდეს კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა ესტონეთის სს რესპუბლიკაში 1946-1950 წლებისათვის 3.500 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 708 მილიონი მანეთის რაოდენობით.

122. ყოველმხრივ განვითარდეს საწვავი ფიქალების მოპოვება და გადამუშავება, რისთვისაც აღდგენილ იქნას და გაფართოვდეს ფიქალების მოქმედი სამადნოები 9,4 მილიონი ტონა საერთო სიმძლავრემდე. აღდგენილ იქნას და ამუშავდეს 220 ათასი ტონა სიმძლავრის ტორფსაწარმოები და აშენდეს 50 ათასი ტონა სიმძლავრის ტორფბრიკეტის ქარხნები.

აღდგენილ იქნას ფიქალსახდელი ქარხნები. აშენდეს და ამუშავდეს ფიქალებისაგან გაზის გამომმუშავებელი ქარხნები და გაზსადენი ამ ქარხნებიდან ლენინგრადში გაზის გადასაცემად.

აღდგენილ იქნას ელექტრომოტორთა ქარხანა, კრენგოლმისა და ბალტიის მანუფაქტურები, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა და ტელეფონის აპარატების ქარხანა.

123. აღდგენილ იქნას და ამუშავდეს 92 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის ელექტროსადგურები.

აღდგენილ იქნას სამშენებლო მასალების მრეწველობის საწარმოები, მათ შორის წლიურად 80 ათასი ტონის სიმძლავრის ცემენტის ქარხანა.

აღდგენილ იქნას მაცივარი, ხორცკომბინატი და რძის კომბინატი ქალაქ ტალინში და ერბო-კარაქ-ყველის ქარხნები.

124. დაწესდეს რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1950 წელს 450 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქციისა 222 მილიონი მანეთის რაოდენობით.

1948 წელს აყვანილ იქნას ომამდელ დონემდე ქარსალისა და ჰიჰყინას კონსერვის გამოშვება. მოეწყოს ბალტიის ზღვის სანაპიროზე პატარა საკონსერვო სახელოსნოების ფართო ქსელი ჰიჰყინას კონსერვის გამოსაშვებად.

125. დაწესდეს 1950 წლისათვის ესტონეთის სს რესპუბლიკაში ნათესი ფართობები 981 ათასი ჰექტარის რაოდენობით, მათ შორის: მარცვლეული კულტურებისა 585 ათასი ჰექტარი, ტექნიკური კულტურებისა 25 ათასი ჰექტარი, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და კარტოფილისა 109 ათასი ჰექტარი და საკვები კულტურებისა 262 ათასი ჰექტარი.

1950 წლისათვის პირუტყვის სულადობა განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით: ცხენი 212 ათასი სული, მსხვილფეხა რქიანი საქონელი 560 ათასი სული, ცხვარი და თხა 366 ათასი სული, ღორი 400 ათასი სული.

126. დამტკიცდეს ძირითადი დავალებანი კულტურული მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში: 1950 წელს სკოლების რიცხვი აყვანილ იქნას 1.148-მდე, სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 136 ათასამდე და საავადმყოფოს საწოლთა რიცხვი 6.400-მდე. აღდგენილ იქნას თეატრი „ესტონეთი".

127. განხორციელებულ იქნას სამუშაოები ოკუპანტების მიერ დანგრეული ქალაქების, პირველ რიგში ქალაქების ტალინის, ტარტუს, ნარვის, პიარნუს საბინაო და კომუნალური მეურნეობის აღსადგენად. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის ესტონეთის სს რესპუბლიკის ქალაქებში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 1.125 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით 240 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით.

### კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში

128. დამტკიცდეს კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

| | |
|---|---|
| ელექტროენერგია (მილიონ კილოვატ-საათობით) | 320 |
| მერქნის გამოზიდვა (ათას კუბმეტრობით) | 11.000 |
| დახერხილი მასალები (ათას კუბმეტრობით) | 880 |
| ქაღალდი (ათას ტონობით) | 142 |
| ფანჯრის მინა (ათას კვ. მეტრობით) | 275 |
| ცემენტი (ათას ტონობით) | 10 |
| თევზჭერა (ათას ტონობით) | 15 |

129. დამტკიცდეს კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკაში 1946-1950 წლებისათვის 1.600 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 413 მილიონი მანეთის რაოდენობით.

130. აშენდეს და ამუშავდეს 81 ათასი კილოვატის სიმძლავრის ელექტროსადგურები, მათ შორის 45 ათასი კილოვატის სიმძლავრის ჰიდროსადგურები. აღდგენილ იქნას და ამუშავდეს ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატები, ჰიდროლიზური და სულფიტ-სპირტის ქარხნები. აღდგენილ იქნას ლითონნაწარმის—მეტალურგიული ქარხანა, სამადნოები ქარსის მოსაპოვებლად ომამდელი სიმძლავრით და ქარსის ფაბრიკა.

131. რესპუბლიკური მეურნეობის განვითარების მიზნით აშენდეს და ამუშავდეს სამკერვალო-ფეხსაცმლის ფაბრიკა, ლითონდამმუშავებელი ქარხანა, პლასტმასების ნაკეთობათა ფაბრიკა, შუშისა და ცემენტის ქარხნები. აღდგენილ იქნას საწარმოები კვარცისა და შპატის ნედლეულის გადასამუშავებლად და პეგმატიტის ქარხანა.

დაწესდეს რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1950 წელს 260 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი სახელმწიფო მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქციისა 42 მილიონი მანეთის რაოდენობით.

132. აღდგენილ იქნას სტალინის სახელობის თეთრი ზღვა-ბალტიის ზღვის არხი 227 კილომეტრი სანაოსნო გზის საერთო სიგრძისა ყველა ნაგებობით, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მის ნორმალურ ექსპლოატაციას, და აშენდეს სამდინარო გემთმშენებლობისა და გემთსარემონტო ქარხანა. გაყვანილ იქნას 200 კილომეტრი სიგრძის რკინიგზა.

133. დაწესდეს ნათესი ფართობები 1950 წლისათვის 134 ათასი ჰექტარის რაოდენობით, აქედან კოლმეურნეობებში 110 ათასი ჰექტარი, მათ შორის: მარცვლეული კულტურებისა 62,5 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 56 ათასი ჰექტარი; ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და კარტოფილისა 20,9 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 12 ათასი ჰექტარი; საკვები კულტურებისა 50,9 ათასი ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 42 ათასი ჰექტარი. ახალი სახნავი მიწების ათვისების მიზნით ჩატარდეს სამელიორაციო-ამოსაშრობ სისტემათა აღდგენა 20 ათას ჰექტარ ფართობზე.

1950 წლის ბოლოსათვის პირუტყვის სულადობა განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით: ცხენი 22.500 სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 13.400 სული; მსხვილფეხა რქიანი საქონელი 101 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 52 ათასი სული; ცხვარი და თხა 78 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 30 ათასი სული; ღორი 37 ათასი სული, მათ შორის კოლმეურნეობებში 10 ათასი სული.

134. დამტკიცდეს ძირითადი დავალებანი კულტურული მშენებლობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში: 1950 წელს სკოლების რიცხვი აყვანილ იქნას 652-მდე, სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 95 ათასამდე და საავადმყოფოს საწოლთა რიცხვი 3.100-მდე.

135. განხორციელებულ იქნას სამუშაოები ოკუპანტების მიერ დანგრეული ქალაქების, პირველ რიგში პეტროზავოდსკისა და მედვეჟიე-გორსკის საბინაო და კომუნალური მეურნეობის აღსადგენად. დაწესდეს 1946-1950 წლებისათვის კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის ქალაქებში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 556 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით 80 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით.

* * *

დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს:

ა) განიხილოს და დაამტკიცოს ხუთწლიანი სამეურნეო გეგმები სსრ კავშირის ცალკე სამინისტროებისა და უწყებებისათვის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მიღებული ხუთწლიანი გეგმის საფუძველზე;

ბ) მოაწყოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესრულების სისტემატური შემოწმება;

გ) უზრუნველჰყოს მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის ყოველმხრივი ჩაბმა ხუთწლიანი გეგმის განხორციელების საქმეში სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე, რათა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა შესრულდეს არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1946 წლის 18 მარტი.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი.

**29 მარტს, საღამოს 7 საათზე,** კომბინატ „კომუნისტის" კლუბში (ლენინის ქ. № 28) მოწვეულია **საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის** მორიგი პლენუმი.

**დღის წესრიგი**

1. დადგენილებათა შესრულების შემოწმება რაიონის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში.

2. პარტიაში მიღების ანგარიში 1945 წლის 13 ოქტომბრიდან 1946 წლის 29 მარტამდე.

**კესხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში**

28 მარტს, საღამოს 8 საათზე შედგება ამხ. კახრაკიას ლექცია ქართულ ენაზე. თემა: „პარტიის ბრძოლა ჩვენი სამშობლოს ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის მტრების წინააღმდეგ".

ბილეთების მიღება შეიძლება პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

**ლექცია**

28 მარტს, საღამოს 7 საათზე, თბილისის მასწავლებლის სახლში შედგება ამხ. სულეიმანის ლექცია თემაზე: „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".

ბილეთების შეძენა შეიძლება მასწავლებლის სახლის სალაროში.

**თეატრებში**

**სახელმწიფო ოპერა** — 27/III — „დაისი", 28/III—დღისით—„დარეჯან ცბიერი", საღამოს—„ჩიო-ჩიო-სან". **რუსთაველის სახელობის**—27/III—„ინსპექტორი მოვიდა", 28/III—დღისით—„ტირიფის ქვეშ", საღამოს—„ხევისბერი გოჩა". **მარჯანიშვილის სახელობის**—27/III—„დავით აღმაშენებელი", 28/III—„ფიქრის გორა". **გრიბოედოვის სახელობის**—27/III—„განათლების ნაყოფი", 28/III—„თვითმფრინავი დღე-ღამეს ივვიანებს". **მუსიკალური კომედიის** — 27/III — „მსახიობის აიყვარული", 28/III — „ცუგრუმელა". **სანკულტურის** — 28/III — „სევდიანი რომანი". **სომხური** — 27/III—„ხათაბალა". **ახუნდოვის სახელობის**—27/III—„არშინ მალ-ალან". **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—27/III—„რომეო და ჯულიეტა".

ვ. შარაძენიძე, ლ. ლოლაძე ოჯახობით იუწყებიან **ნინო სამსონის-ასულ ლოლაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27/III, 7 ს. გამოსვენება 28/III, 5 ს. ათაბეგოვის, 29.

ოჯახი იუწყება **ანიკო ლებანიძე-თევზაძის** გარდაცვალებას.

ოჯახი იუწყება **ვლადიმერ სიმონის-ძე კერესელიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 27/III, 5 ს. მაგისტრალის, 17.

ხოჯამიროვების და ივანიანის ოჯახები იუწყებიან **მარიამ გიორგის-ასულ ივანიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27/III, 7 ს. გამოსვენება 28/III, 5 ს. კლარა ცეტკინის, 117.

ოჯახი იუწყება **ლილოსი ოქროპირის-ასულ ბახტაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27/III, 7 ს. გამოსვენება 28/III, 5½ ს. ლენინის, 66.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. უე 00136